საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 20 ივნისი, 2013 წელი.

№114 (7241)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვინ მიიღო ყველაზე მეტი პრემია?

თავდაცვის უწყებამ ოქტომბრიდან თებერვლამდე პერიოდში 5 663 731 ლარის პრემია გასცა, ფინანსთა სამინისტრომ ოქტომბრიდან მარტის განმავლობაში – 1 537 315 ლარი; საქართველოს პარლამენტმა ოქტომბრიდან დეკემბრის პერიოდში კი – 3 041 492 ლარი.

სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავები და ყოფილი მაღალჩინოსნები

2

4

„როგორც ჩანს, კვანძები ნელ-ნელა გაიხსნება“

2

„გარეშე თვალმა შეიძლება ვერც შენიშნოს, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის“

3

ნაციონალებმა ნაცისტებს გადაუჯოკრეს!

8

თითქოს ელჩების დანიშვნა-არდანიშვნაზე მეტი საფიქრალი არ გვქონდეს!



5

ვირის გარდა, ყველამ იცის, ხურმა რა ხილია...

4

საქართველოს ყოფილ პრემიერს ცისიდან არჩევნებზე წაიყვანენ

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ოფიციალური ვიზიტი

პრემიერი უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს, ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს ლეონიდ კოჟარას უმასპინძლა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პირისპირ შეხვედრაზე ქართულ-უკრაინული ურთიერთობების საკითხები განიხილეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, გაფართოებული შეხვედრა შედგა, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და უკრაინული დელეგაციის წევრები დაესწრნენ.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობების სპექტრი განიხილეს, მათ შორის, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური საკითხები. ასევე საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის თემები.

საუბარი შეეხო ეუთო-ში უკრაინის თავმჯდომარეობის კონტექსტში საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

◎ გაუმაძღროება

ვინ მიიღო ყველაზე მეტი პრემია?

ახალი ხელისუფლების პირობებში ყველაზე მეტი პრემია თავდაცვის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტში გაიცა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, თავდაცვის უწყებამ ოქტომბრიდან თებერვლამდე 5 663 731 ლარის პრემია გასცა, ფინანსთა სამინისტრომ ოქტომბერ-მარტის განმავლობაში — 1 537 315 ლარი; საქართველოს პარლამენტმა ოქტომბრიდან დეკემბრის პერიოდში კი — 3 041 492 ლარი.

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ მონაცემებს ცალკეული სამინისტროების მიერ გაცემული პრემიების შესახებ: დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ოქტომბერი-მარტი) — 85 603 ლარი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ოქტომბერი-თებერვალი) — 131 660 ლარი, სასჯელაღსრულების სამინისტრო (ოქტომბერი-თებერვალი) — 150 470 ლარი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ოქტომბერი-თებერვალი) — 197 179 ლარი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (ოქტომბერი-თებერვალი) — 249 389 ლარი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (ოქტომბერი-თებერვალი) — 251 965 ლარი, გარემოს დაცვის სამინისტრო (ოქტომბერი-მარტი) — 284 850 ლარი, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (ოქტომბერი-თებერვალი) 0476 270 ლარი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (ოქტომბერი-თებერვალი) — 493 716 ლარი, ჯანდაცვის უწყება (ოქტომბერი-მარტი) — 513 900 ლარი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 572 013 ლარი, განათლების და მეცნიერების სამინისტრო (ოქტომბერი-მარტი) — 594 890 ლარი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ოქტომბერი-მარტი) — 733 270 ლარი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ოქტომბერი-თებერვალი) — 800 647 ლარი, იუსტიციის სამინისტრო (ოქტომბერი-თებერვალი) — 34 552 ლარი, საგარეო საქმეთა სამინისტრო (ოქტომბერი-მარტი) — 987 006 ლარი, მთავრობის კანცელარია (ოქტომბერი-თებერვალი) — 994 832 ლარი, შსს (ოქტომბერი-თებერვალი) — 1 017 710 ლარი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია (ოქტომბერი-მარტი) — 1 121 478 ლარი.

საჯარო დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც პრემიების გაცემის წესს განსაზღვრავს , - ასეთია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის„ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი, რომლის პრეზენტაცია სასტუმრო „თბილისი მარიოტში„ დღეს გაიმართა.

კვლევის შედეგად საიამ გამოავლინა შემდეგი ტიპის პრობლემური საკითხებიც: პრემიების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას არ ახლავს დასაბუთება, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რა კონკრეტული მიღწევის დამსახურების გამო იღებს ესა თუ ის საჯარო მოხელე პრემიას.

საიას შეფასებით, გაცემული პრემიების მოცულობა წარმოადგენს საჯარო მოხელეთა შრომითი გასამრჯელოს არსებით ნაწილს და მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიოს ქვეყნებში არსებულ საშუალო მაჩვენებელს.

◎ მძიმე დანაშაული

სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავები და ყოფილი მაღალჩინოსნები

შინაგან საქმეთა მინისტრი იარაღისა და ნარკოტიკის სამალავის არსებობაზე პასუხისმგებელი პირების დასჯის აუცილებლობაზე საუბრობს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, ეს წინა ხელისუფლების და წინა რეჟიმის პრობლემაა, შესაბამისად აუცილებელია, საზოგადოებამ მიიღოს პასუხი, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან.



— ჩვენ აღმოვაჩინეთ სამარხი, რომლიდანაც ამოვიღეთ დაახლოებით ორი ოცეულის სრული შეიარაღება, იარაღით და ნარკოტიკებით სავსე რვა კასრი. ასევე ვნახეთ დასაჭერი ხალხის სია და რამდენიმე ვიდეოკასეტა, სადაც აღბეჭდილია საშინელი კადრები. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ორი ვიდეო, სადაც ასახულია ადამიანების წამება, დამამცირებელი მოპყრობა და გაუპატიურება, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

შს მინისტრის განმარტებით, აღნიშნული იარაღი არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა და იყო აღურიცხავი, ე.წ. შავი იარაღი.

ღარიბაშვილის განცხადებით, სამარხში იარაღსა და ნარკოტიკთან ერთად გამოძიებისთვის საინტერესო ბევრი სხვა მასალაც აღმოჩნდა.

— საუბარია მძიმე დანაშაულის აღიარებაზე, თუმცა, აღმოჩნდა ისე, რომ ერთ-ერთი პირი საერთოდ არ იყო ნასამართლევი ან ციხეში ნამყოფი, ის უბრალოდ აწამეს, რადგან მისგან ვერ მიიღეს მათთვის სასურველი ჩვენება. მეორე პირი, რომელიც აწამეს, აბსოლუტურად სხვა ბრალდებით დააკავეს და ციხეში იჯდა ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-მოხმარების გამო. ჩვენ ვფიქრობთ, ეს იყო სისტემური პრობლემა. იყო ასეთი პოლიტიკა და ეს არის წინა ხელისუფლების, წინა რეჟიმის პრობლემა, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

როგორც მინისტრმა განმარტა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დამატებით დეტალებზე ვერ ისაუბრებს, თუმცა, საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი, ვინ იდგა ამ ყველაფერის უკან.

— მინდა, კარგად შევახსენო ყველას, რომ იმ დროს მინისტრი იყო ვანო მერაბიშვილი. შესაბამისად უნდა დადგეს ყველა იმ მაღალი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა, რომელთა მმართველობის დროს ხორციელდებოდა ეს საშინელება, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებთან დაკავშირებით შს სამინისტრომ ცხრა ადამიანი დააკავა. მათგან ერთი თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელია, ორი კი პოლიციის ყოფილი თანამშრომელი.

მინისტრის ცნობით, დაკავებულებს შორის ასევე არის პირი, რომელიც ადამიანებს აუპატიურებდა.

— ჩვენ პასუხი გავეცით იმ ყველა უსუსურ ბრალდებას, რომლის თანახმად ეს იარაღი თითქოს ჩვენ ან თავდაცის სამინისტრის გვეკუთვნოდა, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● 1) „პრაგულკაზე“ არ დაჰყავთ;
2) საჭმლის ნაცვლად სილოსს აჭმევენ;
3) არ კითხულობს პერიოდულ პრესას.
რა ჰქვია მას?

P.S... ახლა ტელევიზორიც მონდომებია.

● კონგრესმენებმა გირგვლიანის მკვლელების სასათბურე პირობებში მოხდილი სასჯელის, მერე ვანოს უტელევიზორობა ვერ აიტანეს?

● არ მიყვარს პოლიტიკა! მან სამშობლო წამართვა!

● ექსპერტი ნიკოლოზ რურუა... ხო ძაან მაგრად ჟღერს?

● ისინი სადისტები იყვნენ, ესენი იდიოტები არიან. ნარკოტიკების შეძენა-მოხმარებისთვის 7-დან 14 წლამდე!

ადამიანების, დიახ ადამიანების წამებისთვის კი 2 წელი და 3000 ლარი საპროცესო?

● კაია თავისუფლება ხოოო? მოეწონათ კაი ცხოვრება ზოგიერთებს და ახლა შს მინისტრის პრესმდივანს უკირკიტებენ, პოლიტიკური განცხადება გააკეთაო. ოპაااااა, და 1 ოქტომბერს რომ ვერ შესულიყვნენ პარლამენტში და ტერორი დაეწყოთ ნაცებს, ეს ხალხი დაიცავდა მომხრეებს? აბაა, კიიი, ვიღას გაახსენდებოდა მათი შტაბის წევრები არც ახლა ახსოვთ მაგრამ მაინც რაა?

● ეს „ახალგაზრდა ექსპერტ-იურისტ-პოლიტიკოს-გამჭვირვალე“ ტიპები სად იჩეკებიან ხომ არ იცით?

● რესპუბლიკელებმაც დაუჭირეს მხარი ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში მიღებულ დეკლარაციასო, ამ ჩვენმა რესპუბლიკელებმა აქ რომ გვასწავლიან ჭკუას და ცინიკოსობენ, მიხედონ საქმეს და სტრატეგიულ პარტნიორს მიაწოდონ რეალური ინფორმაცია, არ შეიძლება?

● ახალი მარგალიტი ციკლიდან „კოჰაბიტაცია, რომელიც ქორწინებაში გადაიზარდა“. ლევან ბერძენიშვილი: „მირჩევნია, დავით ბაქრაძემ მოიგოს საპრეზიდენტო არჩევნები, ვიდრე ნინო ბურჯანაძემ“.

● სანამ ბედნიერი საქართველო +18 კადრების მოლოდინშია, ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოიღეს.

● ჩვენი ბრალია, ჭორიკანა-ვასასი ერი ვართ. ხუთიანზე აქვს შესწავლილი ჩვენი ეს ფსიქოლოგია წინა თუ ახლანდელ ხელისუფლებას და მშვენივრად იყენებენ. იმდენი ბინძური ჩანაწერი აქვთ, ნებისმიერ მომენტში თითო სერიის ჩვენებით გადაიტანენ ხალხის ყურადღებას მთავარი თემიდან. ასე რომ, სანამ არ დავაიგნორებთ ამათ სიბინძურეებს, მანამდე ესენი თოკებზე გამობმული თოჯინებივით გვათამაშებენ როგორც უნდათ. ეყიდებათ ყველა ბილეთი კინოსეანსებზე და რატო შეეშვებიან ამ „სარფიან“ საქმეს?

● 50 ფარული ვიდეოჩანაწერი, რომელიც უნდა ნახო, სანამ ცოცხალი ხარ.

● არ ვეთანხმები ბევრ ჩემს მეგობარს,რომლებიც იძახიან,რომ არ უნდა ნახოს საზოგადოებამ ის საშინელი კადრები. სწორედაც უნდა ნახოს ყველამ, თუ რა ფაშისტები არიან ნაციონალები, რადგან ერთხელ და სამუდამოდ ამოიგდოს სიტყვა კო(ჰ)აბიტაცია თავიდან ყველამ და უმკაცრესად დასაჯონ დამნაშავეები!

P.S. რეჟიმი უნდა გასამართლდეს!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ იუნესკო

ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში გელათის გამო დროებით დატოვეს

გელათის გამო ბაგრატის ტაძარი საფრთხეში მყოფ ძეგლების ნუსხაში იუნესკომ დროებით დატოვა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილე მარინე მიზანდარმა განუცხადა, რომელიც კამბოჯაში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 37-ე სესიაში ღებულობს მონაწილეობას.

ქართული დელეგაცია იუნესკოს კომიტეტის სესიაზე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფება.

მინისტრის მოადგილის თქმით, იუნესკომ გამოიჩინა კეთილი ნება და დროებით, ბაგრატი საფრთხეში მყოფი ძეგლების ნუსხაში დატოვა, რათა ამ სიიდან გელათი არ ამოვარდნილიყო.

— ფორმალურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ბაგრატი საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში ერთი წელი იქნება თუ მეტი, ბაგრატის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღების საკითხი გადაწყვეტილია. ეს გადაწყვეტილება ძალაში ერთი წლის მერე შევა, თუ ორის, მნიშვნელობა არ აქვს. იუნესკომ გამოიჩინა კეთილი ნება და ნუსხიდან ბაგრატი ახლა არ ამოიღო, რადგან ბაგრატი და გელათი ერთი ნომინაციის ორი კომპონენტია. მოგვცეს საშუალება, ბაგრატი გელათით ჩავანაცვლოთ და იგი დამოუკიდებლად იყოს წარმოდგენილი, — დასძინა მარინა მიზანდარმა.

მისივე განმარტებით, ნომინაციის საზღვრების ცვლილებაზე იმუშავებენ. შექმნიან სამუშაო ჯგუფს, რომელიც გელათის გამორჩეული ღირებულების წარმოსაჩენად და დასადასტურებლად იმუშავებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იუნესკო გელათს ცალკე ნომინაციაში აუცილებლად შეიყვანს.

— ძალიან შეწუხებული არიან ბაგრატის პრეცედენტით და ეს ყოყმანი მათ საუბარში იგრძნობა. უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ ერთი ნომინაციის შემადგენელი ორი კომპონენტიდან ერთი ამოვარდეს და მეორე დარჩეს. იუნესკოსთვისაც საფრთხილოა, როგორც პრეცედენტი. გელათზეც ფრთხილად საუბრობენ და გვთხოვეს, რომ რაც შეიძლება დასაბუთებული არგუმენტაცია იყოს, — აღნიშნა მიზანდარმა. მინისტრის მოადგილე იმედოვნებს, რომ გელათი უნივერსალური ღირებულებისაა და ცალკე ნომინაციაში მოხვდება.

კულტურის მინისტრის მოადგილემ მცხეთის ძეგლების შესახებაც ისაუბრა, რომლებიც იუნესკოს კომიტეტის რეზოლუციით საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში დარჩა.

დამოუკიდებელმა ექსპერტმა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ნიკა ვაჩეიშვილმა კი „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხიდან ჯერ ამოღებული არ არის. იუნესკოს კომიტეტის 37-ე სესიამ ამასთან დაკავშირებით მხოლოდ რეზოლუცია მიიღო.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„გარეშე თვალმა შეიძლება ვერც შენიშნოს, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის“

გვესაუბრება ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კობა ნარჩემაშვილი.

— ბატონო კობა, რამდენიმე წლის წინათ, როცა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა დაფუძნდა, თქვენ მოიაზრებოდით პარტიის ლიდერად. თუმცა, გზა გია ჟორჟოლიანს დაუთმეთ, თქვენ კი რაღაცნაირად ცდილობდით პოლიტიკური პროცესებისგან გარიდებას...

— იცით, რა იყო... პრინციპულად არ მინდოდა პერსონიფიცირებული პოლიტიკის მონაწილე ვყოფილიყავი.

— ეს მაშინ.

— მაშინაც და ახლაც. ძალიან გაცნობიერებულად გადავწყვიტეთ იდეოლოგიური მსოფლმხედველობრივი პარტიის დაფუძნება. ვფიქრობ, მემარჯვენე მიმდინარეობამ თავისი თავი ამოწურა, ყველგან კრახი განიცადა. ამიტომ შევქმენით მემარცხენე ცენტრისტული ძალის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ნელ-ნელა შემოდის საქართველოში დრო, როცა პარტიისთვის გადამწყვეტი იქნება მსოფლხმედველობა და არა ლიდერი. როცა მთავარი პიროვნება მიდის პარტიიდან, პარტია არ უნდა კვდებოდეს.

— ჯერჯერობით ასეა.

— სამწუხაროდ, ასეა. პიროვნება, პერსონა წყვეტს პარტიის ბედს. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

— მემარცხენეობაში რას გულისხმობთ?

— მემარცხენეობა — ეს არის, როცა სახელმწიფოს პოზიტიური მონაწილეობა და ჩარევა პროცესებში არის დასაშვები. რთულია, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ეკონომიკური კრიზისების დაძლევა, სოციალური პროგრამების დასახვა. ჩემი აზრით, სოციალური თანასწორობის გარეშე დემოკრატია არ არსებობს. ულტრალიბერალურმა მიდგომებმა ძალიან ვიწრო ჯგუფის არანორმალურ გამდიდრებამდე მიგვიყვანა. ჩვენ გვინდა ევროპული ტიპის სოციალ-დემოკრატია. საქართველოშიც ხალხი ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც ნორვეგიაში, შვეიცარიაში, დანიაში...

— ეს ახლო მომავლაში მიიღწევა?

— რატომაც არა. არ დაგვავიწყდეს, რომ ევროპაში პირველი სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველო იყო. ჩვენ გვაქვს ამის ტრადიციები, რომელიც არის დაფუძნებული სოლიდარობაზე, თანასწორობაზე, არასაბაზრო საზოგადოებაზე, ანუ იმაზე, როცა სოციუმი ბაზრის პრინციპებით არ იმართება.

— და რა რეალობაში უწევს თქვენს პარტიას არსებობა?

— ნაციონალურმა მოძრაობამ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით მიზანმიმართულად მოკლა პოლიტიკური პროცესი. ოპონენტებისთვის პოლიტიკაში ყოფნა საშიში გახდა. როგორც კი შესაძლებელი გახდა ცივილიზებული ფორმით პარტიის არსებობა, ჩვენც გავაქტიურდით. ძალიან ხშირად სპეციალური იგნორირება ხდებოდა ჩვენი პარტიისა, განსაკუთრებით ილაშქრებენ ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგები.

— ხომ არ იყო ამის მიზეზი თქვენი სახელი?

— შეიძლება იყო, ან არ იყო... მაგრამ მაშინ ისიც უნდა ითქვას — რატომ?

— შევარდნაძის მთავრობის ბევრი ჩინოსანი დაბრუნდა ხელისუფლებაში, თანამდებობებზე, თქვენ არ გქონიათ შემოთავაზება?

— არა, არ მქონია. სიმართლე გითხრათ, ახლა ვემზადებით ადგილობრივი არჩევნებისთვის. საპრეზიდენტო კანდიდატი არ გვეყოლება, მხარს მარგველაშვილს დავუჭერთ.

— რახან მხარს უჭერთ, ე. ი. ეთანხმებით „ქართული ოცნების“ კურსს?

— პირიქით, „ქართული ოცნება“ გვეთანხმება ჩვენ. პრინციპში მათი მხრიდანაც გაცხადდა, რომ არის მემარცხენე მიმდინარეობის პოლიტიკური მოძრაობა. თუკი ბიუჯეტს გადავხედავთ, ეს არის მთლიანად სოციალური ბიუჯეტი, თუნდაც ის, რომ ის არამილიტარისტულია, კარგია.

— გიორგი მარგველაშვილზე რას იტყვით?

— ძნელია, რაიმე გადაჭრით ვთქვა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ამოსავალი არის არა პიროვნება, არამედ ის ძალა, რომელმაც ის კანდიდატად წამოაყენა. კონსტიტუციის იმ მოდელის პირობებში, რაც გვაქვს, ის სრულიად მისაღებია.

— ბატონო კობა, რაც უნდა იყოს, თქვენ ყველაზე კომპეტენტური სამართლებრივ სფეროში ბრძანდებით. ამ მიმართულებით ჩვენთან საკმაოდ საინტერესო მოვლენები ვითარდება. მოდით, შევადაროთ ერთმანეთს თქვენი მუშაობის პერიოდი, ნაცმოძრაობისა და ქართული ოცნებისა.

— დღევანდელით დავიწყოთ. დღეს არის აბსოლუტურად არასტანდარტული ვითარება, იმდენად არასტანდარტული, რომ დღევანდელ პრობლემებს ჩვენი კანონმდებლობა ვერ მოერევა. 9 წლის განმავლობაში დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანია რეპრესირებული ამა თუ იმ ფორმით, დიდი უმრავლესობა უდანაშაულოდ. ისინი ახლა სიმართლის დადგენას ითხოვენ. თუკი მათ საქმეებს სტანდარტული კანონმდებლობით მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ არ გვეყოფა ამისთვის არც გამომძიებელი, არც ოპერატიული მუშაკი. ძალიან რთული ამოცანის წინაშე არიან ჩვენი სამართალდამცავები და ამაში არ ვგულისხმობ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

— ანუ კომპლექსურად გვაქვს პრობლემა?

— დიახ. დღეს არავის აქვს სამართლიანობის აღდგენის რაიმე მზა რეცეპტი. საჭიროა განსხვავებული ხედვები, კრეატიული გადაწყვეტილებები, არაორდინალური დამოკიდებულება, რომელიც გასცდება მშრალი სამართალწარმოების ფარგლებს. საჭიროა მეტი თავისუფალი აზროვნება, პოლიტიკური ხედვები... ამას წინათ ჩვენთან სტუმრად ჩამოსული იყო წარმოშობით ჩილელი ერთ-ერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი, რომლის მონაყოლითაც ბევრი რამ გასაგები გახდა ჩემთვისაც. ჩვენ პინოჩეტის მთავრობაში არავის არ მივეცით ინდულგენცია. დავიჭირეთ ყველა — მიმთითებელიც და შემსრულებელიც, და ეს პროცესი ახლაც გრძელდებაო. ჩემი აზრით, გამოსავალი ეს არის...

> *დღეს არავის აქვს სამართლიანობის აღდგენის რაიმე მზა რეცეპტი. საჭიროა განსხვავებული ხედვები, კრეატიული გადაწყვეტილებები, არაორდინალური დამოკიდებულება, რომელიც გასცდება მშრალი სამართალწარმოების ფარგლებს. საჭიროა მეტი თავისუფალი აზროვნება, პოლიტიკური ხედვები... ამას წინათ ჩვენთან სტუმრად ჩამოსული იყო წარმოშობით ჩილელი ერთ-ერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი, რომლის მონაყოლითაც ბევრი რამ გასაგები გახდა ჩემთვისაც. ჩვენ პინოჩეტის მთავრობაში არავის არ მივეცით ინდულგენცია. დავიჭირეთ ყველა — მიმთითებელიც და შემსრულებელიც, და ეს პროცესი ახლაც გრძელდებაო. ჩემი აზრით, გამოსავალი ეს არის...*
>
> *უნდა დაისაჯოს ყველა. პროცესი დიდხანს უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ამასთანავე უნდა ვეძებოთ სიმართლე.*

— ბატონო კობა, მართალია, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ბრძანდებით, მაგრამ იგრძნობა, რომ რაღაც ძალიან არ მოგწონთ, რა?

— არ მომწონს ის, რომ გრძელდება ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი ინერცია: შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურის ორგანოებში, სასამართლო კიდევ ცალკე თემაა. იგივე დარჩა მუშაობის ფორმა, სტილი, საკადრო პოლიტიკა. გარეშე თვალმა შეიძლება ვერც შენიშნოს, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის.

— კადრებს მთვარიდან ვერ ჩამოვიყვანთო...

— მხოლოდ კადრების პრობლემა არ არის...

და მაშინ რა, სჯობს გადიოდეს თვეები, ვადგენდეთ დამნაშავეს, მერე კი მტკიცებულებების უქონლობის გამო ათავისუფლებდნენ?! მთავარი ტენდენცია რაც იყო, დასანგრევია...

— ვინ უნდა დაანგრიოს, თუ არა მინისტრებმა?

— რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობამ. საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილებები...

— იუსტიციის მინისტრი ძალიან მკაცრ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს... მაგრამ რეფორმა, რომელსაც ის ხმაურიანად გეგმავდა, შეიძლება ითქვას, ნაციონალების გამოისობით ჩავარდა...

— მსჯელობა საკმარისი არ არის. ამას სჭირდება მოქმედება და განხორციელება. ბევრჯერ დამისვამს კითხვა ჩემი თავისთვის: რას ვიზამდი, ვთქვათ, 17 მაისს? გავიყვანდი შეიარაღებულ პოლიციას თუ არა. ვიფიქრე და დავასკვენი, რომ მეც იმავეს გავაკეთებდი, რაც ღარიბაშვილმა ჰქნა. საზოგადოებისთვის მძიმე ასოციაციას გამოიწვევდა ხელკეტებიანი და ფარებიანი პოლიციელის ნახვა.

— თქვენი აზრით, სწორი ფორმა აირჩია, მაგრამ მაშინ რატომ იყო მათი მოქმედება არაეფექტიანი?

— იმიტომ, რომ პოლიციელები მთელი ეს 9 წელიწადი ძალადობაზე იყვნენ ორიენტირებულნი: უნდა ეცემათ, გაელახათ... ახლა, როცა სხვა დავალება მიიღეს, ამისთვის მზად არ აღმოჩნდნენ. დააშორეთ ხალხი ერთმანეთსო, ვერ გაიგეს დავალების არსი...

— თქვენი მინისტრობის დროს ძალადობა რომ იყო, ამას მიხეილ სააკაშვილი არაერთხელ იხსენებს. თუმცა, თქვენ ინტერვიუებში ამბობთ ხოლმე, რომ მოქალაქეთა უფლებებზე ორიენტირებული სამინისტრო იყავით.

— ასეც იყო, მოქალაქეთა უფლებებს ვიცავდით. რა არ უნდა მომხდარიყო 7 ნოემბერს, 26 მაისს იმის თვალსაჩინო მაგალითია 2003 წლის ნოემბრის მოვლენები. ჩვენი ბიუჯეტი 48 მილიონი ლარი იყო, ახლა 10-12-ჯერ მეტი რესურსი აქვთ.

მე პირადად გადაწყვეტილი მქონდა, რომ 2003 წლის არჩევნების შემდეგ დაწყებულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული ტრანსფორმაცია და არა რეფორმა. ახლაც მგონია, რომ საჭიროა სისტემის ტრანსფორმაცია და არა რეფორმა. შეიძლება ინსტიტუციურად ეფექტიანი იყოს სამინისტრო, რომელშიც შედის უშიშროება, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, 112-ის მომსახურება?! წარმოგიდგენიათ, როგორი დემოკრატიული შეიძლება იყოს ის?!

— მერაბიშვილის დაპატიმრების შესახებ რა შეიძლება გვითხრათ... ყველა ყოფილი მინისტრის გასამართლება რამდენად ლოგიკურია?

— როცა საქმე კონკრეტულ პირებს ეხება, ვცდილობ, გამოძიების დასრულებამდე არ ვილაპარაკო, შემიძლია მხოლოდ პრობლემის არსზე ვისაუბრო.

— მერაბიშვილმა ტელევიზორი მოითხოვა და დაუდგეს კიდეც...

— გამომძიებელი ასეთ საკითხს თვითონ წყვეტს. თუმცა, საგამოძიებო იზოლატორი ნიშნავს იმას, რომ პატიმარი იზოლირებული იყოს. ტელევიზორი კი მას რაღაც ფორმით აძლევს ინტეგრაციის საშუალებას.

ჩემი მუშაობის მანძილზე ყოველთვის ბრალმდებელი გახლდით, არასოდეს ვყლფილვარ უფლებადამცველი, მაგრამ როცა აზრი მკითხეს ამნისტიაზე ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, აღვნიშნე, რომ ის ყველას უნდა შეხებოდა. თუკი ცივილიზებული საზოგადოება ვართ, არ უნდა შეგვეშინდეს ცივილიზებული აქტის.

— გაქვთ იმის განცდა, რომ მერაბიშვილი შეიძლება გათავისუფლდეს, მით უმეტეს, რომ მას აქვს საერთაშორისო მხარდაჭერა?

— არ ვიცი, დაველოდოთ.

სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლება ისეთ საგარეო მხარდაჭერას, რაც ნაციონალებს ჰქონდათ, ვერ მოიპოვებს. ევროპასა და ამერიკაში ყველა ერთგვაროვანი არ არის. იქ არიან ისეთები, რომლებიც იმით კი არ არიან უკმაყოფილო, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ რაღაც გაიფუჭა, ან მის მოქმედებას არ ეთანხმება, უბრალოდ არ აინტერესებს იმიტომ, რომ უკვე „მათი ბიჭი“ არ არის ხელისუფლებაში. აი, ეს აწუხებთ.

სამაგიეროდ, დღევანდელ ხელისუფლებას აქვს საკუთარი ხალხის დიდი მხარდაჭერა...

— კიდევ უფრო მეტი ჰქონდა.

— დიახ, მეტი ჰქონდა. საქართველოს ხელისუფლება არ დგას საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერაზე, როგორც სააკაშვილი იდგა. ის ემყარება მოქალაქეთა მხარდაჭერას და ამიტომ უნდა გაუფრთხილდეს, გაითვალისწინოს ქართველი საზოგადოების ინტერესები.

— რა არის ხალხის უპირველესი შეკვეთა?

— სამართლიანობის აღდგენის საკითხი, რომელიც როგორც ჩანს, არ არის იოლად მოსაგვარებელი. ჩემი აზრით, კიდევ უფრო მთავარია, რომ ქვეყანაში გამომძიებლის ინსტიტუტი გაძლიერდეს. გამოძიება არის სამართლიანობის ღერძი. 9-წლიანი მმართველობის დროს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვით გამომძიებელი შეიძლებოდა ყოფილიყო იურიდიული განათლების არმქონე პირი. გამომძიებელი სრულიად უფლებააყრილია. როცა ვმუშაობდი, 1000 გამომძიებელი მუშაობდა სტრუქტურაში, ახლა 600 მუშაობს, ათიათასობით საქმე ელოდება სამართლიან განაჩენს. ეჭვი მაქვს, რომ იმ 600-დან ბევრი სულაც არ არის დაინტერესებული საქმის ობიექტური გამოძიებით. მათში შეიძლება საბოტაჟის ნიშნები აღმოაჩინონ.

— როგორ ემხრობით იმ აზრს, მთავარი პროკურორი რომ ამბობს, 26 მაისის შემკვეთები უნდა დაისაჯონ, შემსრულებლები კი არა, ვინაიდან ბრძანებას ასრულებდნენო.

— არ ვეთანხმები, უკანონო ბრძანების შესრულება დანაშაულია და დასჯადია. თუკი ვინმეს დანაშაული ჩადენილი აქვს, მან პასუხი უნდა აგოს. შესაძლოა, არ დავიჭიროთ, მაგრამ 2-3 წელიწადი მაინც საჯარო სამსახურში მუშაობაც არ ავუკრძალოთ?!

— თქვენ აგიკრძალეს მუშაობა ნაციონალებმა?

— ჩვენ ფაქტობრივად ცხოვრება აგვიკრძალეს. ჩემი გადაწყვეტილება — ქვეყანაში დავრჩენილიყავი — ყოველდღიურ რისკთან იყო დაკავშირებული, ფიზიკური არსებობის რისკთან... მაგრამ პრინციპულად დავრჩი.

რასაც ნაციონალები აკეთებდნენ, ისინი ამას არ უკავშირებდნენ თავისი და თავიანთი შვილების მომავალს. ყველაფერს ანგარებით აკეთებდნენ. მათ დავარქვი კორპორაცია. ისინი პოლიტიკოსები კი არა კორპორაციული ცნობიერებით შექმნილი სინდიკატები არიან, რომლებიც მერკანტილური ინტერესების განსახორციელებლად შეიკრიბნენ. ჩემთვის მთავარია, ღირსების დაცულობის განცდა მქონდეს, ვიდრე შიშით ვიცხოვრო ქვეყანაში, სადაც დოკუმენტებს 10 წუთში უპრობლემოდ იღებენ...

ესაუბრა
თეა მოსია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვირის გარდა, ყველამ იცის, ხურმა რა ხილია...

ღია წერილი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ბატონ დავით დარახველიძეს

ასლი: საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრს ბატონ პაატა ზაქარეიშვილს

თავდაპირველად ეს ღია წერილი დაიწერა, როგორც დევნილთა ყრილობის მომწყობი საინიციატივო ჯგუფის კოლექტიური განცხადება. მისი შინაარსი ვიწრო წრეში 4 ივნისს განვიხილეთ, ხოლო 7 ივნისს ყველას თვალწინ, საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის ზაურ ბედიასა და ჩემს წინააღმდეგ პროვოკაციული გამოხდომა განხორციელდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) დევნილთა დიდ ჯგუფს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ თანამოძმე ხალხთა შერიგების რეალურ პროცესებად გადაქცევა-დაჩქარების ამოცანები გვაკავშირებს.

საბედნიეროდ, 2012 წ. 1 ოქტომბრის შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ ურთულესი ამოცანების რეალიზაციის საქმეში გამაღიზიანებელი დეკლარაციული განცხადებებიდან, რასაც წინა ხელისუფლება ახმოვანებდა, სერიოზული ნაბიჯების გადადგმაზე გვეფიქრა.

დევნილთა ყრილობები ადრეც ჩაუტარებიათ, მაგრამ მათ არ მოჰყოლია ჩატეხილი ხიდის აღდგენა, იგივე შეიძლება განმეორდეს დღესაც, რადგანაც არენაზე კვლავ გამოჩნდნენ ის ძალები, რომელთათვის სოხუმის დაცემამდე და მის შემდეგაც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა, დიახაც რომ, ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს.

ღია წერილიც იმ ფარისევლურმა ქმედებებმა დამაწერინა, რომლებსაც მოსახლეობის ზურგს უკან გარიგებებისა და თაღლითობის სუნი ასდით და არა მარტო ეს.

აფხაზეთის მთავრობის პოსტიდან გია ბარამიას გადადგომის შემდეგ, ბუნებრივია, ახალ დანიშვნაზე დაიწყო ლაპარაკი. ამის გამო კი ავი ენები ასახელებენ საქმეში რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის ბატონ პაატა ზაქარეიშვილის პირდაპირი ჩარევის ფაქტს. ჩემთვის ამ დაუჯერებელმა ინფორმაციამ რეალობა მას შემდეგ შეიძინა, როცა ბატონმა პაატამ მიღებაზე უარი უთხრა ზაურ ბედიას, ხოლო ლონდერ ცაავა (აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე) და მისი თანმხლები პირები დიდი ენთუზიაზმით მიიღო და წყალობა გაიღო, მათთან ესაუბრა.

შორს ვართ იმ აზრისგან, როცა არაკეთილმოსურნენი პაატა ზაქარეიშვილს ФСБ-ს აგენტად მოიხსენიებენ, მაგრამ რუსეთის აგენტობას არაფრით ჯობია, როცა ნაცმოძრაობის მიერ აპრობირებულ მეთოდებს იყენებ. კერძოდ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ერთ-ერთ არჩევნებში ამჟამად მიმალვაში მყოფი ზურაბ ადეიშვილი პირდაპირ უხეშად ჩაერია (ჩვეულებრივი ვერტიკალი, რომელიც ავტონომიურობას გამორიცხავს). უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინ ის მთავრობის თავმჯდომარეობის ერთ-ერთ კანდიდატს ნაპო მესხიას ურეკავს და აფრთხილებს: შენ კაი კაცი ხარ, მაგრამ ახლა თემურ მჟავია (ამჟამად უმაღლესი საბჭოს წევრი) გვჭირდება და ასპარეზი მას დაუთმეო. ბატონმა ნაპომ ეს საჯაროდ განაცხადა და თავისი კანდიდატურა იქვე მოხსნა.

ჩვენი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — „ზემოდან“ ვინ დარეკავს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, — ზურაბ ადეიშვილი თუ პაატა ზაქარეიშვილი, ვინ სად და როდის არის საჭირო, ეს ბატონ პაატაზე უკეთ ხალხმა იცის!

დევნილთა ყრილობის წარმატებით ჩატარების მიზნით სამინისტროდან (ალბათ, ბატონ დავით დარახველიძესთან შეთანხმებით) საქმეში ბატონი რეზო ქობალია ჩაერთო, რა ინტერესები ამოძრავებს რეზო ქობალიას?

ბატონ გია ბარამიას გადადგომის მეტად საშიში და ამაზრზენი ქმედებებიც გამოიკვეთა. კერძოდ, იმ ახალგაზრდების ოჯახებში, რომლებიც ტერიტორიულად გალის რაიონში ცხოვრობენ, დროგამოშვებით „ტყის ძმების“ სახელით (?) მუქარის ზარები გაისმის. არ ვიცით, ვინ დგას ამ ზარების უკან, — მართლაც „ტყის ძმები“, თუ მათი თანამოძმენი. ერთ-ერთი მათგანი ასპარეზზე კიდევაც გამოჩნდა. ეს ვინმე ნაურ ჯიქიაა, რეზო ქობალიას ფეხის ხმას აყოლილი ახალი მოდის პატრიოტი, რომელმაც 7 ივნისს თანმხლებ პირებთან ერთად სადამსჯელო აქცია ჩაგვიტარა. მან დევნილთა მორიგ შეხვედრაზე უშვერი სიტყვებით, ლანძღვა-გინებითა და „ტვინის გახვრეტით“ დამუქრების შემდეგ ჩვენთან ფიზიკურად გასწორებაც სცადა... ეს ის ხელწერაა, რასაც ნაცმოძრაობა იყენებდა, როგორც შანტაჟისა და ზეწოლის ხერხს. ბატონო ირაკლი, ეს არ არის ინტერნეტსივრცეში მოთამაშე ხულიგნის მიერ ატვირთული ვიდეოკლიპი. ეს ცოცხალი ვიდეოკლიპია ცოცხალი შესრულებით. ეს ის საშიში და ძირშივე აღსაკვეთი ქმედებებია, რომელმაც შესაძლებელია, მართლაც წარსულში დაგვაბრუნოს.

აქვე, ჩვენი ვარაუდით, „ტყის ძმები“ (?) შესაძლოა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთ წევრსაც კი აშანტაჟებდნენ, რაც საგანგაშოა!

კერძო ინტერესებს დაქვემდებარებული ფინანსური მაქინაციები ხომ ნაცმოძრაობის სახეა. ვისაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის საქმიანობა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თვალსაზრისით, მობიბინე ოაზისი ჰგონია ნაცმოძრაობის პარპაშის ან მის წინარე პერიოდში, ძლიერ ცდება.

ახლახან გავიგეთ, რომ სამინისტროს საქმიანობას კომპეტენტური, დიდი გამოცდილების მქონე და დევნილთა მხრიდან ასევე დიდი ნდობით აღჭურვილი პიროვნება, ბატონი გაიოზ გახელაძე ჩამოუშორებიათ. რა ხდება? — ვეკითხებით ბატონ დავით დარახველიძეს, — თქვენ უარს ამბობთ პიროვნებაზე, რომელიც სამინისტროში მუშაობის თითქმის 20-წლიანი სტაჟითა და შესანატრი პატიოსნებით, მართლაც რომ გამორჩეულია სხვებს შორის.

დაბოლოს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო აშკარად ცდილობს, ორხელისუფლებიანობის მომენტით ისარგებლოს. ეს მათზე სოხუმიდან გადმოყოლილი სტატუსის სრულ გაცვეთამდე გამოყენებასა და მიკუთვნებული პრივილეგიების შენარჩუნება-გაფართოებას ემსახურება. ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ ტალახის სროლით შერიგების ფართო გზაზე ვერ გავალთ. სახალხო დიპლომატია ცივილიზებულ, პროვოკატორებისაგან თავისუფალ სივრცეს ითხოვს.

იქნებ სჯობდა, ასეთ საკითხებზე საერთოდ არ გვესაუბრა და სახელი არ გაგვეტეხა იმ ინსტიტუციური დანაყოფებისათვის, რომლებზედაც შერიგებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებია მიბმული. მაგრამ სანამდე ვმალოთ საკუთარი ჭირი? თანაც, არა მგონია, ვინმესთვის ეს დიდ საიდუმლოს წარმოადგენდეს. საკითხავია, ვინც ახლა „ტვინის გახვრეტით“ იმუქრება, შერიგებაზე უარის მთქმელს იავნანას უმღერებს?

ვირის გარდა, ყველამ იცის, ხურმა რა ხილია.

დევნილთა ყრილობაზე ჩვენს სათქმელს ხმამაღლაც ვიტყვით, მაგრამ ვიდრე ვიტყოდეთ, საჭიროა შევჯერდეთ თუნდაც იმისათვის, რომ რომელიმე მაღალჩინოსნის სურვილის ან „ტყიდან“ მიღებული გაფრთხილების შიშით სირაქლემის პოზაში არ აღმოვჩნდეთ.

დევნილები ვერთიანდებით სწორედ იმისათვის, რომ ცხოვრებაში ფასადური დემოკრატიის ნაცვლად რეალური დემოკრატია დამკვიდრდეს და, რაც მთავარია, სამუდამოდ არ დავრჩეთ ენგურს გამოღმა ან ცხინვალის რეგიონის გარეთ.

უღრმესი პაგივისცემით,

ზაურ კვარაცხელია,
სოხუმიდან

◎ საიდუმლო სამალავი

„როგორც ჩანს, კვანძები ნელ-ნელა გაიხსნება“

ნაციონალი დავით საყვარელიძე ტყვიაწამლის საწყობებთან დაკავშირებით ხელისუფლებას საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ იარაღის სამალავებში ჩაყრილია „სუბოტექსი“, დღიურები და გაუგებარი ვიდეოფირები“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ოპოზიციონერი დეპუტატი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და მმართველ ძალას სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევაში დასდო ბრალი.

„რახან ნამუსი არ აქვთ და გაასაჯაროეს რაღაც გაუგებარი და ბინძური პიარის ხელოვნურად შესაქმნელად, იძულებული ვართ, ის გითხრათ, რაც პროფესიონალებმა გამანდეს. გასულ წლებში თავდაცვის სამინისტროს მიერ იარაღისა და ტყვიაწამლის საწყობები საგანგებოდ იყო შექმნილი და განკუთვნილი იყო შემოვლითი გზების (ტყეების, ბილიკების) გამოყენებით სპეცდანიშნულების შენაერთებისთვის, „საიდუმლოს“ გრიფით დამტკიცებული დოკუმენტებით, რომლებიც ინახებიდა და ინახება თავდაცვის სამინისტროში. საომარი მოქმედებების დროს, ეს იარაღი სამხედრო შენაერთებს ქალაქიდან ქალაქში გადაადგილების დროს უნდა გამოეყენებინათ, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სამხედრო ბაზაზე თავდასხმა მოხდებოდა“, — განმარტავს საყვარელიძე.

დეპუტატის შეფასებით, საგანგაშოა, როდესაც სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება ხდება.

„იმ დროს, როდესაც შსს დაკავებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ თავის დასაცავად შექმნილი სამალავების ვითომდა აღმოჩენით და შიგნით სუბოტექსის ჩაყრით, ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ ორსანტიაში 14-კაციანი ჯგუფით რუსები გადმოდიან და სრულიად დამამცირებლად სოფლის ჩხრეკას ატარებენ, რაზედაც სახელმწიფო რეაქციას ვღებულობთ „შეიძლება ითქვას, ზრდილობიანად იქცეოდნენ ოკუპანტებიო“...!!! აქ რა იყო აღმოსაჩენი, ერთი გამაგებინეთ?! შეიძლება სამოქალაქო პირებისთვის ეს იყოს საიდუმლო, მაგრამ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი პირველივე დღიდან უნდა ყოფილიყო! სამარცხვინოა, ასე ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის დანგრევა!“, — აღნიშნავს საყვარელიძე, რომელსაც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ბრალს სიცრუეში სდებს და for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ აბსურდული მესიჯის გავრცელება საყვარელიძეს დაავალეს.

— ბატონო ირაკლი, ნაციონალები ხელისუფლებას ბრალს საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებაში სდებენ. თუმცა, თქვენი ინფორმაციით, რა მიზნით შეიქმნა სამალავები?

— გამოძიების დასრულებამდე, კონკრეტული ფაქტის ანალიზისგან თავს შეიკავებ და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია აღმაშფოთებელია. პოლიტიკურ შეფასებას გამოძიების შემდეგ გავაკეთებ. რაც შეეხება საყვარელიძის განცხადებას, ის წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული არაკანონიერი ქმედებებისგან თავის დაძვრენას ცდილობს. როგორც ჩანს, შესაბამისი მესიჯების მომზადება მას დაევალა, თუმცა, მისი არგუმენტი აბსოლუტურად სუსტი და უსუსური იყო, რამდენადაც მის მიერ მოყვანილი არგუმენტები რეალობას არ ემთხვევა. კერძოდ, თუკი იარაღის სამალავის მოწყობა ხდება, შესაბამის უწყებებში იგი აუცილებლად აღირიცხება, მსგავსი აღრიცხვა კი არ არსებობს. საქმე იმასთან გვაქვს, რომ ნაციონალი ლიდერები პასუხიმგებლობისგან თავის არიდებას ცდილობენ. თავს ვიკავებ და კონკრეტული პირებისკენ ხელს არ ვიშვერ, თუმცა, სამეგრელოში არაკანონიერი დაჯგუფებების შექმნის შესახებ ინფორმაცია წინასაარჩევნოდ ცნობილი იყო.

— ზუგდიდის მაშინდელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი ალასანია საიდუმლო დაჯგუფებების შესახებ საუბრობდა, რასაც ნაციონალები კატეგორიულად უარყოფდნენ და აღნიშნულ ფორმირებებს — „რეზერვს“ უწოდებდნენ. რა კავშირია ამ სამარხებსა და იმ დაჯგუფებებს შორის?

— გამოძიებას უნდა დაველოდოთ და შეიძლება სხვა სამალავებიც ვიპოვოთ, ან სწორედ ის ფარული გეგმა გაიხსნას, რომლის გამოც ეს იარაღი ინახებოდა და შესაბამისი ფორმირებები იქმნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციას ვფლობ, რა და როგორ ხდებოდა, არა მარტო ამ ფაქტთან დაკავშირებით, არამედ ზოგადად, ინფორმაციის გახმაურებისგან თავს შევიკავებ. საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს გააზრებული, რა მოხდა 1 ოქტომბერს და რა რეჟიმი შევცვალეთ! ფასადური დემოკრატიით, ქვეყანას ისეთი რეჟიმი მართავდა, რომელიც, როგორც ჩანს, ყოვლად უპასუხისმგებლო განზარახვით იყო გამიზნული. უსაფრთხოების სექტორს, ძალოვან უწყებებსა და ბიუჯეტს, ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებდნენ.

— ანუ, წინა ხელისუფლება საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად ნებისმიერი ტიპის ქმედებისთვის მზად იყო?

— ამას ვერ დაგიდასტურებთ. ვარაუდებს გამოვთქვამ და გამოძიებას უნდა დაველოდოთ. სანამ გამოძიება არ დასრულდება, ამ ფაქტებს ერთმანეთთან განა ვერ დავაკავშირებ, უბრალოდ არ დავაკავშირებ, რადგან გამოძიებას პატივს ვცემ.

იხ. 8 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თითქოს ელჩების დანიშვნა-არდანიშვნაზე მეტი საფიქრალი არ გვქონდეს!

„საუკეთესო მთავარი, რომლის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი არსებობს. შედარებით ცუდია ის მთავარი, ხალხს რომ უყვარს და განადიდებს. ძლიერ ცუდია ის მთავარი, რომლისაც ხალხს ეშინია, ხოლო მთავარი, რომელსაც ხალხი დასცინის, ყველაზე უარესია“, – ეს სიტყვები ჩინელ ფილოსოფოსს ლაო ძის ეკუთვნის და სრულად ასახავს ხელისუფლებისა და ხალხის საუკუნოვან ურთიერთობას, მათ შორის არსებულ დამაკავშირებელ ხიდებსა და ასეთის არარსებობას, ერთმანეთს შორის ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას და დამოკიდებულების დეფიციტით შექმნილ სიძულვილს, გაუგებრობას, დაცინვას.

საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერ შეძლო ისე ემოღვაწა, როგორც ამას ლაო ძი მიუთითებს დასაწყისში, ანუ „ მთავარი, რომლის შესახებ ის ვიცით, რომ ის არსებობს“, დანარჩენი, თავის ზურგზე გამოსცადა საქართველოს მოსახლეობამ და ისეთ პოზიციაში გადავიდა, მთავარის დაცინვა რომ ჰქვია. მაგრამ არც მთავარია გულხელდაკრეფილი – ისიც თავის მხრივ დასცინის ხალხს.

პრეზიდენტის ყოველდღიური ქმედება და განცხადება, სწორედაც რომ, დაცინვის ამსახველია. სხვას ვერაფერს ვუწოდებთ პრეზიდენტის ნათქვამს – უცხოეთში, განსაკუთრებით შორეულ და მიკროსკოპულ ქვეყნებში, თანაც ეგზოტიკურში, იმიტომ დავდივარ, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი რომ არ აღიარონო, თუ ჩემი არ გჯერათ, ვინმე გამომაყოლეთ საგარეო საქმეთა სამინისტროდანო.

და გადაწყვიტეს – ძველმა და ახალმა „ვინმეს გაყოლება“. აწ და სექტემბრის ბოლომდე პრეზიდენტს უცხოურ ვოიაჟებში საგარეო საქმეთა სამინისტროელი წაჰყვება. სწორედ ეს ერთადერთი და, მე ვიტყოდი, „უნიკალური“ გადაწყვეტილება მიიღეს ქვეყნის უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე, რის შესახებაც გვამცნო მარკო პოლოდ ქცეულმა მოგზაურმა მინისტრმა ფანჯიკიძემ.

მოგზაურობის დარგში გამოვლენილი მადით ის არაფრით ჩამოუვარდება პრეზიდენტს, რომ იტყვიან, მათ უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს. ჰენრი კისინჯერის კისინჯერობის დროს ამერიკელები ხუმრობით ამბობდნენ, როგორ ასწრებს ეს კაცი ამდენ ქვეყანაში ჩასვლას, ალბათ, კისინჯერს ხუთი ორეული ჰყავსო. რა გაეწყობოდა – პირველი ქვეყნის დიპლომატია მოითხოვდა ამას და კისინჯერი ლამის ხუთად კი არა, ათად რომ გაჭრილიყო, ისიც არ იქნებოდა საკმარისი.

აქ რა რჯის კისინჯერად (მხოლოდ მოგზაურობებით) ქცეულ მაიას, მით უმეტეს მთავრობას, ესოდენ გადაღალოს ის. შეინდეთ – ქალია.

ხალხის დაცინვა არ ჰქვია, როდესაც პრეზიდენტი საზოგადოებას შესჩივის – მოგზაურობებში საგარეო საქმეთა სამინისტროდან არავინ მომყვებაო. პრეზიდენტს, რომელსაც ისიც არ შეუძლია, სალაღობო მოგზაურობაში დიპლომატი გაიყოლოს, პრეზიდენტი არ უნდა ერქვას, მაგრამ სცადა ოდესმე მან მსგავსი წინადადებით მიემართა საგარეო უწყებისადმი? ვგონებ, არა! წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტის სასახლესთან მოგზაურობის მოტრფიალე დიპლომატთა რიგი დადგებოდა მინისტრის თამამდობით.

დაცინვის საგნად ქცეულმა პრეზიდენტმა დაიტრაბახა – საქართველოში დღეს უფრო მეტი ქართველი ჩამოდის, ვიდრე მიდისო. მისი მიხედვით, საქართველოს დაუბრუნდნენ უცხოეთში ნასწავლ-განათლებულები. დაუბრუნდნენ თუ არა, გასარკვევი თემაა, მაგრამ დავუშვათ დაბრუნდნენ – დაეტყო რამე ქვეყანას? არც არაფერი. ცხოვრება იმაზე უარესია, ვიდრე გუშინ იყო, ან რა უნდა დატყობოდა ტყუილსერტიფიკატიანი „სპეციალისტებით“? ვინც რაღაცას მიაღწია, ის აქ არ ჩამოვა – აუწყობელ ქვეყანაში.

პოლიტიკური სპექტრისა და მედიის წყალობით საქართველოს მოსახლეობის ყურადღება მეორეხარისხოვან საკითხებზე გადადის – ყოველდღიური ცხოვრებისგან დაშორებულზე. ჩანს, წინა და დღევანდელ ხელისუფალთ აწყობთ მსგავსი რამ. მათთვის მთავარი პრობლემების მოგვარება კი არ არის, არამედ ამ პრობლემებიდან ხალხის ყურადღების სხვა ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე გადატანაა, ეს კი თავისთავად ხელისუფალთა განცხრომით ცხოვრების გახანგრძლივების საწინდარია.

თავის გადარჩენის იოლი გზაა ისეთ თემებზე ლაპარაკი, როგორებიცაა „თალიბთა“ მიერ დამზადებული ვიდეოკლიპები ან საზღვარგარეთ ელჩების დანიშვნა და სხვა. რომ არა ეს და მსგავსი საკითხები, რომლებიც ტვინს უმღვრევენ მოსახლეობას, ივანიშვილი კი არა, 10 ივანიშვილი ვერ გაუძლებდა მოსახლეობის სამართლიან სოციალურ შეტევას.

ამდენად, სჯობს თალიბებზე, მოსალოდნელ ტერაქტებზე, ელჩების დაუნიშნაობით გამოწვეულ დიპლომატიურ კრიზისზე ლაპარაკი, ვიდრე მედიკამენტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, გაფრენილ ფასებზე, წყლის, გაზის, ელექტროენერგიის გახშირებულ გათიშვაზე, მოუწესრიგებელ ტროტუარებზე, გაპარტახებულ სადარბაზოებზე, უპატრონოდ დარჩენილ კომუნალურ მეურნეობაზე, აუწყობელ, ამორტიზებულ საქალაქო ტრანსპორტზე და სხვა.

საქართველო ის ქვეყანაა, დაგებული ასფალტი მეორე დღესვე რომ იშლება, სადაც გზის პატარა მონაკვეთს ხანგრძლივად არემონტებენ და მოსახლეობას არაფრად აგდებენ. მოსახლეობასაც ჰგონია, რომ ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სხვა პირობებში მას არ უცხოვრია. მისთვის დედის რძესავით არის ქუჩიდან ავარდნილი მტვერი, უამინდობის დროს ტალახი და წუმპეები. მოსახლეობისთვის ჩვეულებრივი რამ არის ჩაბინძურებული, ტუალეტად ქცეული მიწისქვეშა გადასასვლელები. მოსახლეობა მიეჩვია სუპერმარკეტების ზღვარგადასულ ფასებს, მდარე კვების პროდუქტებს, არაკვალიფიციურ მომსახურებას, ბანკებში რიგში დგომას, ბანკებში კომპიუტერული სისტემის წამდაუწუმ გამორთვას, სამედიცინო მუშაკთა დაბალ კვალიფიკაციას, ექიმთან დალაპარაკების მიზნით რეგისტრაციაში გატარებას და ამისთვის 50-60 ლარის გადახდას.

მოსახლეობა მიეჩვია უხარისხო პურს, მეორე დღეს რომ აზელილ ბათქაშს ჰგავს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ბოსტნეულზე, ხილზე კატასტროფულ ფასებს. მოსახლეობა მიეჩვია, რომ ხილის ქვეყნად წოდებულ საქართველოში ვაშლზე 12 თვის განმავლობაში ფასები არ იცვლება. საქართველო ის უნიკალური ქვეყანაა, სადაც ხუთი ღერი ქინძი და ოხრახუში 15-20 თეთრია, ხოლო 5 ცალი მწვანე წიწაკა 1 ლარი.

საყოფაცხოვრებო საკითხები, უაღრესად დაბალი პენსიები (თუნდაც დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით) და ხელფასები, უმუშევრობა, არარსებული დარგობრივი პროგრამები, გაურკვეველი საშინაო პოლიტიკა, არანაკლებ გაურკვეველი საგარეო, ოპტიმიზმის ნაკლებ საშუალებას იძლევა.

ეს ისეთი პრობლემებია, ნებისმიერ ქვეყანაში რომ ხალხს ქუჩაში გამოიყვანდა, მაგრამ საქართველო სხვაა. ის არ იწუხებს თავს სოციალური საკითხების მოსაგვარებლად მიტინგების და დემონსტრაციების გამართვით. ის, ამ საკითხებზე გულს სამზარეულოში ლაპარაკით იფხანს. მას ჰგონია, რომ ამ თემებზე ხმამაღლა ლაპარაკი სირცხვილია. არადა, მთელი მსოფლიო რომ ამ თემებზე ამახვილებს ყურადღებას, ის ამას არ უყურებს.

მეზობელ თურქეთში სახალხო გამოსვლები სტამბოლის პარკის გაჩეხვის გეგმას მოჰყვა. თბილისში ისე გაიჩეხა ვაკის პარკი და იქ საელჩოები და საცხოვრებელი სახლები ჩაიდგა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ანალოგიური რამ დაემართა წყნეთის გზაზე, გასული საუკუნის 50-იან წლებში ხელოვნურად გახარებულ ნაძვებს. ისინი სახლებმა ჩაანაცვლეს. არავისთვის უკითხავთ, პლეხანოვის პროსპექტზე მრავალწლიანი ხეების ამოძირკვა, ბაღებისა და სკვერების ხეებისგან „განთავისუფლება“.



ეს და სხვა საკითხები ხალხისგან რეაგირებას საჭიროებს და ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ისეთ „სერიოზულ“ თემებზე ყურადღების გადატანა, როგორიცაა ვთქვათ საზღვარგარეთის ქვეყნებში ელჩების დანიშვნა.

პროცედურის მიხედვით, პრეზიდენტს ელჩის კანდიდატურას წარუდგენს საგარეო უწყება. პრეზიდენტი განიხილავს მას და თავის მხრივ დასამტკიცებლად გაუგზავნის პარლამენტს, რომელიც, კომიტეტებში გასაუბრების შემდეგ, განიხილავს და დამტკიცებს პარლამენტის სხდომაზე.

საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა ინტენსიურად ლაპარაკობს, რომ პრეზიდენტი შეგნებულად არ იხილავს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დასანიშნი ელჩების სიას და არ უგზავნის მას პარლამენტს, რითაც აფერხებს დიპლომატიის მუშაობას, ხელს უშლის ქვეყნის პოლიტიკის წარმოებას.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ – ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ამ რაოდენობის საელჩოები და დიპლომატიური მისიები არ ესაჭიროება. საელჩოს შენახვა ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უმეტეს ისეთი გაპარტახებულის, როგორიც საქართველოა, გაუმართლებელი ფუფუნებაა. არც ერთი ქვეყანა არ გახსნის სხვა ქვეყანაში დიპლომატიურ წარმომადგენლობას სერიოზული, ფუნდამენტური შესწავლა-ანალიზის გარეშე. განხილვისას ყურადღება ექცევა პოლიტიკურ, ეკონომიკურ ინტერესს, დიასპორის არსებობას, სხვა საკითხებს.

სამწუხაროდ, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნა სუბიექტური მოსაზრებიდან გამომდინარე ხდებოდა. ამ მოსაზრების ავტორი ქვეყნის პრეზიდენტი იყო. სამწუხაროდ, პრეზიდენტის ამბიციების დასაკმაყოფილებლად იხსნებოდა საელჩო და არა ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე.

თითქმის ტრადიციად იქცა თანამდებობის პირის თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ ელჩად გამწესება (რომ არ განაწყენებულიყო). ერთი ასეთი მაგალითი იყო ბეგაშვილის ჩინეთში ელჩობა. სხვა უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

სამწუხაროდ, ახლადგამომცხვარმა „დიპლომატებმა“ ცუდის მეტი არაფერი მოუტანეს ქვეყანას. არასერიოზულია საქართველოში მოარული ცნება დიპლომატიასთან დაკავშირებით, რომ დიპლომატობა ყველას შეუძლია და ამისთვის სპეციალური სასწავლებლის დამთავრება სულაც არ არის საჭირო. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ სხვა ქვეყნებს რაში სჭირდებათ სახელმწიფო დიპლომატიური სასწავლებლები?

23 წელიწადია, საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო დონეზე არც არავის უფიქრია სახელმწიფო დიპლომატიური სასწავლებლის დაარსების თაობაზე. საქართველო უაღრეს სიმწირეს განიცდის დიპლომატიური კადრების თვალსაზრისით. და ასეთ დროს – საზღვარგარეთ გახსნილია უამრავი საელჩო.

საპარლამენტო უმრავლესობა ადანაშაულებს პრეზიდენტს – დიპლომატიაში გვაფერხებსო, თითქოს დანიშნული ელჩი ადგილსამყოფელ ქვეყანაში მთებს აბრუნებდეს, მასპინძელი ქვეყნის დიპლომატებსა და პოლიტიკოსებზე რამე ზეგავლენით სარგებლობდეს. ერთი სიტყვით, ჩვენი „პოლიტიკოსები“ საქართველოში არსებულ ვითარებას, ჩვენი დიპლომატების საზღვარგარეთ მუშაობას ადარებენ.

რა ვითარებაა საქართველოში ამ მხრივ? საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის დიპლომატს, მით უმეტეს ელჩს გახსნილი აქვს კარი პრეზიდენტთან, პრემიერთან, ნებისმიერ მინისტრთან, პარლამენტთან და ა.შ. მათ რიგში არავინ აყენებს, განსაკუთრებით აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის ელჩებს. აშშ-ს ელჩი თავს ისე გრძნობს საქართველოში, როგორც საკუთარ ქვეყანაში. ის მოურიდებლად ერევა რაც საშინაო, მით უმეტეს საგარეო საკითხებში. ერთი სიტყვით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები თავს სამოთხეში გრძნობენ, რასაც ვერ ვიტყვით საზღვარგარეთ საქართველოს ელჩებზე.

ნებისმიერ ქვეყანაში (დსთ არ მყავს მხედველობაში) საქართველოს ელჩის საგარეო საქმეთა მინისტრთან ან მოადგილესთან შეხვედრა წინასწარ მრავალდღიანი შეთანხმების გზით, ძლივძლიობით თუ მიიღწევა. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრთან ან პრეზიდენტთან შეხვედრას – თუ ელჩობის ვადის (3-4 წელი) განმავლობაში ერთხელ მაინც მოხდა, დიდი მიღწევაა. მცდარია ის მოსაზრება, რომ ელჩმა დაურეკოს ადგილსამყოფელი ქვეყნის პრეზიდენტს ან პრემიერს და მათაც უმალ მიიღონ. მსგავსი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება და ისიც აშშ-ს ელჩისათვის.

იმ ქვეყანაში, სადაც ჯერჯერობით საქართველოს საელჩო უელჩოდ მუშაობს, საზღვარგარეთის ქვეყნების გაცილებით მეტი საელჩოებია, ვიდრე საქართველოში. აქედან გამომდინარე, წარმოვიდგინოთ ერთი რამ, შეძლებს თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი ყველა ქვეყნის ელჩის მიღებას?

ის საკითხები, რომლებიც ჩვენ გვგონია მსოფლიო მნიშვნელობის, ხშირ შემთხვევაში, ადგილსამყოფელ ქვეყნებს ასე არ ჰგონიათ. ასე რომ, უელჩობა სულაც არ ნიშნავს რაიმე სერიოზულ შეფერხებას.

დიპლომატიური მისიისთვის აუცილებელია მიზანი, რას ემსახურება ის. ამდენ ხანს ჩვენი საელჩოების მთავარი მიზანი იყო ერთი – რუსეთის გინება, ტერიტორიული მთლიანობა და ა.შ. დღეს რა დატვირთვა აქვთ? იმის ძახილი ხომ არა – ახალი ხელისუფლება უკეთესია და ძველი ცუდი? ან თავის მართლება წინა ხელისუფლების დაპატიმრებულ მოხელეებთან დაკავშირებით?

დიპლომატიას სჭირდება იდეოლოგია – როგორი ქვეყნის წარმომადგენელია, რას აშენებს ეს ქვეყანა, რა მიზნებს ემსახურება მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ა.შ. და კიდევ ერთი რამ, ელჩის დანიშვნის პროცედურა უნდა მიმდინარეობდეს ყოველგვარი ხმაურის, საჯაროობის გარეშე. მსოფლიოში არსებული პრაქტიკა ამის დამადასტურებელია.

უცხოეთში, ელჩის ამა თუ იმ ქვეყანაში დანიშვნა მხოლოდ დიპლომატიურ პერიოდიკაში (უწყებაში) ქვეყნდება. მოსახლეობას ამ საკითხით არავინ აწუხებს. საქართველოში კი ერთი ამბავია ატეხილი. ელჩობის კანდიდატის ვინაობა წინასწარ ხდება ცნობილი. კანდიდატს მასპინძელი ქვეყნის თანხმობაც (აგრემანი) არ აქვს მიღებული და პარლამენტში ამტკიცებენ. დავუშვათ, რომ დამტკიცებული ელჩი არ მიიღო მასპინძელმა ქვეყანამ, რაც არცთუ იშვიათად ხდება დიპლომატიაში, მერე რა ვქნათ?!

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ჯერ ხდება ადგილსამყოფელ ქვეყანასთან ელჩობის კანდიდატის შეთანხმება, ხოლო შემდეგ საშინაო პროცედურის განხორციელება. ჩვენთან ყველაფერი უკუღმაა, რითაც უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებთ მასპინძელ სახელმწიფოს – მე დავნიშნე და შენ უნდა მიიღოო. იმ ანეკდოტისა არ იყოს – ჩემი ასო კიტრია და უნდა ჭამოო.

საერთაშორისო ცხოვრებაში, როდესაც მასპინძელ ქვეყანას, წარმდგენი სახელმწიფო ელჩის კანდიდატურას წარუდგენს, თანხმობის მიღების გაჭიანურების შემთხვევაში აღარ შეახსენებს, ვინაიდან წარმდგენი ხვდება, რომ მასპინძელს არ აწყობს წარდგენილი კანდიდატურა. ასეთ დროს არსებობს გამოსავალი – ახალი კანდიდატურის წარდგენა. ეს პროცედურა სრული საიდუმლოებით ხორციელდება ორივე მხარის მიერ.

ყოველივე აღნიშნული მოწმობს იმას, რომ საქართველო, მიუხედავად „დამოუკიდებლად“ არსებობის 23-წლიანი გამოცდილებისა, დიპლომატიაში ერთობ გამოუცდელი სახელმწიფოა. მთავრობას ვერაფერი გაუკეთებია და ელჩმა რა უნდა გააკეთოს, მით უმეტეს იმან, ვინც რაღაც „დამსახურებისთვის“ მიიღო საზღვარგარეთ ხანგრძლივი, უდარდელი ცხოვრების შესაძლებლობა – კარგი ანაზღაურებით და ნაკლები თავის მტრევით.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ადამიანი დროში

ჰიდროლოგიის მეტრი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში 1988 წლის მაისის თვეში აწ გარდაცვლილმა მსოფლიო დონის სწავლულებმა, აკადემიკოსებმა ცოტნე მირცხულავამ და გივი სვანიძემ გამაცნეს ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში უკვე ცნობილი პროფესორი ზურაბ კოპალიანი. აქედან იწყება ჩვენი თანამშრომლობა. ბატონ ზურაბს 2008 წლის ივნისის თვეში შევხვდი ქ. სანკტ-პეტერბურგში, მე-14 მსოფლიო კონფერენციაზე „ნატანების ტრანსპორტირება და სედიმენტაცია“, ამას წინათ კი მაისში, ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში შეხვედრისას დეტალურად განვიხილეთ მომავალი ერთობლივი საგრანტო და სამეცნიერო თანამშრომლობის მიმართულებები, რომლებიც ჩვენი გათვლებით დიდ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ შედეგს მოუტანს ჩვენს ქვეყანას მოსახლეობის უსაფრთხოების გათვალისწინებით.

ინსტიტუტში სამუშაო შეხვედრისას. მარცხნიდან – პროფ. ზურაბ კოპალიანი და პროფ. გივი გავარდაშვილი. (თბილისი, 2013)

პროფესორ ზურაბ კოპალიანს – რუსეთის სახელმწიფო ჰიდროლოგიური ინსტიტუტის (ГГИ) წამყვან ჰიდროლოგს, კალაპოტური პროცესების სფეროში სახელგანსმენილ სპეციალისტს, ინსტიტუტის კალაპოტური დეფორმაციების გაანგარიშებისა და პროგნოზების ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ახლახან 70 წელი შეუსრულდა.

მკვლევრის სამეცნიერო ინტერესების სფერო საკმაოდ ფართოა: მდინარეთა კალაპოტების მორფოლოგია და დინამიკა, კალაპოტური ტურბულენტობა, ჰიდრავლიკური წინაღობები, ჰიდრავლიკური მოდელირება, ფსკერული ნატანის ჩამონადენი, მდინარეთა კალაპოტებისა და ჭალების წყალსადინარებში ფორმირებული კატასტროფული ნაკადების საინჟინრო ნაგებობებთან ურთიერთქმედება, კალაპოტური პროცესების მონიტორინგი და სხვ.

ბატონი ზურაბი ამ მიმართულებებით 100-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორია.

ГГИ-სათვის კალაპოტური პროცესების კვლევაში ზ. კოპალიანის წვლილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეგვიძლია ის ჩავთვალოთ ჰიდრომორფოლოგიური თეორიის თანაავტორად ამ დარგის დამფუძნებლებთან, პროფესორებთან – ი. პოპოვსა და ნ. კონდრატიევთან ერთად. საანგარიშო ფორმულების უმრავლესობა, რაც შეადგენს ჰიდრომორფოლოგიური თეორიის საინჟინრო ნაწილს (ფსკერული კვლების სიმაღლისა და მოძრაობის სიჩქარის, მდინარის კალაპოტის მეზოფორმების მოძრაობის სიჩქარის, ჰიდრავლიკური წინაღობებისა და სხვ.), დამუშავებულია უშუალოდ ზ. კოპალიანის მიერ. მიღებული შედეგები უკვე ჩართულია კალაპოტური პროცესების განყოფილების ისეთ ძირითად ნორმატიულ-მეთოდურ დოკუმენტებში, როგორიცაა „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონის მდინარეებზე საინჟინრო ნაგებობების დაპროექტების დროს მდინარეთა კალაპოტების დეფორმაციების გათვალისწინების რეკომენდაციები“, „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობგაზსადენების) წყალქვეშა გადასასვლელების ზონაში მდინარეთა კალაპოტებისა და წყალსატევების დეფორმაციების გაანგარიშება“, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სამშენებლო დაპროექტების დროს.

არანაკლებად მნიშვნელოვანია მეცნიერის წვლილი კალაპოტური პროცესების თეორიის განვითარებაში; მას ახასიათებს დაუცხრომელი სწრაფვა მდინარეთა ჰიდრომორფოლოგიური თეორიიდან პრაქტიკული გამოყენებისკენ. მაგალითად, თეორიის ის ნაწილი, რომელიც ეხება მთის მდინარეების კალაპოტურ პროცესების თავისებურებებს, ძირითადად დამუშავებულია ზ. კოპალიანის მიერ.

უნიკალურია მისი წვლილი მსოფლიოს ექსპერიმენტული გეომორფოლოგიისათვის კალაპოტური პროცესების მოდელირების თეორიის განვითარებაში – გამრეცხ სივრცით ჰიდრავლიკურ მოდელებზე. ბატონი ზურაბის მრავალწლიანი გამოცდილება კალაპოტური პროცესების მოდელირებაში განხორციელდა ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „მდინარეთა ნაკადებისა და კალაპოტური პროცესის ექსპერიმენტული კვლევები და ჰიდრავლიკური მოდელირება“, რომელიც დაიწერა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალბერტ კლავენის თანაავტორობით (2011 წ). მონოგრაფია წარმოადგენს ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომს არა მარტო ჰიდრავლიკური მოდელირების, არამედ მთელი კალაპოტური პროცესების ჰიდრომორფოლოგიურ თეორიაში.



პროექტში „როსჰიდრომეტრიის დაწესებულებების და ორგანიზაციების მოდერნიზება და ახალი ტექნიკით აღჭურვა“ (2006-2007 წლები) ზ. კოპალიანი იყო ჰიდროლოგიური ბლოკის დამუშავების ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი. სულ ახლახან, წლევანდელ ივნისში, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მონოგრაფიამ რუსეთის სახელწიფოს ჰიდროლოგიური კავშირის პრემია დაიმსახურა. ვულოცავთ ბატონ ზურაბს კიდევ ერთ წარმატებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი წვლილი საერთაშორისო დონეზე რუსეთის ჰიდროლოგიური მეცნიერების ნიშის გაზრდაში. 1988-1991 წლებში ის მუშაობდა იუნესკოს წყლის მეცნიერებათა განყოფილების კონსულტანტად პარიზში, 1996-2007 წლებში იყო აზიის რეგიონის მუშა ჯგუფის თავმჯდომარე ჰიდროლოგიის საკითხებში, კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი ექსპერტთა ჯგუფის (МГЭИК) წამყვანი ავტორი, მსოფლიო კლიმატური პროგრამის გლობალური ენერგეტიკული და წყალთა ექსპერიმენტის სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს (GEWEX) წევრი.

1996 წლიდან ზ. კოპალიანი იუნესკოს საერთაშორისო ჰიდროლოგიური პროგრამის რუსეთის ფედერაციის ეროვნული კომიტეტის (МГП) წევრია, აგრეთვე – იუნესკოს ეროზიისა და სედიმენტაციის საერთაშორისო კვლევითი და სასწავლო ცენტრის (JRTCES – პეკინი, ჩინეთი), იუნესკოს წყლის სტიქიური უბედურებებისა და რისკების მართვის საკონსულტაციო საბჭოს წევრი (ცუკუბა, იაპონია).

2007 წელს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი – კლიმატის გლობალური ცვლილების საკითხებთან დაკავშირებულ შრომათა ციკლისთვის დაჯილდოვდა ნობელის პრემიით მშვიდობის დარგში; ქართველი მკვლევარი აქტიურად მონაწილეობდა ამ ციკლზე მომუშავე მსოფლიო მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, რომელსაც გადაეცა შესაბამისი დიპლომი.

2008 წლის ივნისში, სანკტ-პეტერბურგში, ГГИ-ში ჩემი სტუმრობის დროს დავრწმუნდი, რომ კოლექტივში ზ. კოპალიანი სარგებლობს არაჩვეულებრივი სამეცნიერო ავტორიტეტით. მას ახასიათებს კეთილგანწყობა, თანამშრომლებთან ყურადღებიანი დამოკიდებულება, ოპტიმიზმი, პატიოსნება და წესიერება, ბატონი ზურაბი გახლავთ სანიმუშო ოჯახის უფროსი, ჰყავს ვაჟიშვილი ზურაბ კოპალიანი და შვილიშვილები ზურაბ და ანა კოპალიანები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომლების სახელით ვულოცავთ ბატონ ზურაბ კოპალიანს 70 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ კეთილდღეობასა და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას არა მარტო რუსეთში, არამედ მის მშობლიურ ქვეყანაში – საქართველოშიც.

გივი გავარდაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

◎ ღვაწლი

ვულოცავთ ბატონ ნოდარ ერიაშვილს დაბადების დღეს!

ღირსეულ ქართველ მამულიშვილს, მოსკოვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, საერთაშორისო ადვოკატთა კოლეგიის „კანონი და სამართლის“ პრეზიდენტს, გამომცემლობა „იუნიტი-დანას“, ჟურნალების – „კანონი და სამართალი“, „განათლება, მეცნიერება, სამეცნიერო კადრები“ მთავარ რედაქტორს, რუსულ-ქართული აკადემიის პრეზიდენტს, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უნივერსიტეტის პროფესორს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ერიაშვილს დაბადების დღეს ვულოცავთ ქართველები საქართველოდან!

მისი რედაქტორობით გამოცემული და თარგმნილია როგორც ქართულ, ისე სხვა ენაზე მრავალი წიგნი და სახელმძღვანელო, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ საქართველოში მოღვაწე მეცნიერებსა და სტუდენტებს. მათ შორის არის ისეთი წიგნები, რომელთა ანალოგი დღემდე არ გაგვაჩნდა.

ბატონი ნოდარი ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიის, რომლებიც ეძღვნება როგორც ისტორიის, ისე ეკონომიკისა და იურისპრუდენციის საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

არის დიდი ქველმოქმედი და გაჭირვებაში მყოფი ყველა ადამიანის დამხმარე და გვერდში მდგომი, დიდი მართლმადიდებელი და ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენელი. მისი ცხოვრების აზრი და მიზანი არის უფალი და სამშობლო, მსახურება უფლისა და ადამინისა.

ქართველი ერის ისტორიაში ბევრი ლამაზი ფურცელია, რომლებიც ასახავენ ქართველების ცხოვრებას და მოღვაწეობას უცხოეთში. მათში ღვთით ჩადებული ნიჭია და რასაც აკეთებენ, ის უფლისგან მინიჭებული აქვთ და ღვთისკენ სავალი გზის მუდმივი ძიებისკენ არის მიმართული.

ღირსეული ქართველები სულითა და ხორცით, ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ხიდის ეროვნული ბურჯები არიან. იმათ სიმტკიცეზეა არსებითად დამოკიდებული ერისა და ქვეყნის მომავალი! ალბათ, არც ისე მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ყველა დროში მაღალ ღირსებებს ინარჩუნებენ! ღვთის მადლით, საქართველოს – ამ უმშვენიერეს და მრავალტანჯულ ქვეყანას ყოველთვის ჰყავდა და დღესაც ჰყავს ღირსეული ადამიანები, ქართველები, რომლებიც უცხოეთიდან ემსახურებიან სამშობლოს და ადამიანებს! ამ ღირსეულთა შორის არის ბატონი ნოდარი.

კარგ კაცად, დიდ კაცად, სახელოვან ადამიანებად, ალბათ, იბადებიან, ალბათ, სადღაც მამა-პაპათა გენშია გადგმული ფესვები. ბატონო ნოდარ, არ გეტყვით, რომ ბედნიერი ხართ ამ ქვეყანაზე, არა, ეს ჩვენ ვართ ბედნიერები, შენი კახეთი და შენი ლაგოდეხი, შენი სამშობლო საქართველო და შენი მეგობრები, რომ ასეთი ღირსეული შვილი და მეგობარი ჰყავს ჩვენს ქვეყანას და სამშობლოს!

ხალხს ვერავინ უბრძანებს, ვერავინ ვერაფერს დააძალებს. ადამიანი იმას უტოვებს შთამომავლობას, რასაც სულის სიღრმეში გამოაწრთობს წლების განმავლობაში, ამოაბიბინებს ალალ-მართალ სიტყვად და სიბრძნედ. ადამიანი ყოველივე ადამიანურს თავისი ნერჩიდან იღებს, მერეა რომ ავლენს ყველაფერს „გარეთ“, საზოგადოებაში! ის ნერჩი ბატონი ნოდარისთვის კახეთია, ლაგოდეხის რაიონი, დღეს ამაყობს მისი კუთხე, მისი ხალხი, მისი სამშობლო საქართველო და უახლოესი მეგობრები.

ბატონო ნოდარ, ღვთის ნებით სწორედ ამ მშვენიერ დედამიწაზე, როგორც საქართველოსთვის, ისე სხვა ერებისთვის გამოავლინეთ ღვთით ჩადებული ნიჭი და მადლი.

ხართ სანიმუშო და სახელოვანი ქართველი ერის შვილი და ასევე იმსახურებთ სხვა ქვეყნის და სხვა ხალხის სიყვარულს.

სიკეთე რწმენის ფუძეა ქვეყნისა და ადამიანთა სიყვარულისა.

გილოცავთ დაბადების დღეს თქვენი კუთხისა და ქართველი ერის სახელით! უმრავლოს საქართველოს, ქართველ ერს და სხვა ქვეყნების ერებს თქვენისთანა ადამიანები.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ნაზი ჟოგალია, ზოია ვაშაკიძე, ლელა თოლორაია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს ყოფილ პრემიერს ციხიდან არჩევნებზე წაიყვანენ

საქართველოს ყოფილმა პრემიერმა, პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა ციხეში შიმშილობა გამოაცხადა. ის მოითხოვს, დაუყენონ კამერაში ტელევიზორი და კომპიუტერი, აგრეთვე განბლოკონ მისი ფულადი ანგარიშები. ექსპრემიერს მხარი დაუჭირეს ევროპარლამენტში. სანამ ხელისუფლება სწავლობს ამ მოთხოვნებს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ გამოაცხადეს: მერაბიშვილი მონაწილეობას მიიღებს პარტიულ პრაიმერში, როგორც პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ოქტომბრის არჩევნებზე.

ვანო მერაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს

დაპატიმრების მომენტიდან — 21 მაისიდან, კორუფციაში და უფლებამოსილებათა გადაჭარბებაში ბრალდებით ვანო მერაბიშვილი თბილისის № 8 ერთადგილიან კამერაში ჰყავთ, რომელიც გათვალისწინებულია მაღალი რანგის პატიმრებისთვის და ძალოვანებისთვის. **„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა გამოაცხადა შიმშილობა, ის მოითხოვს, რომ მის კამერაში დააყენონ ტელევიზორი და კომპიუტერი“,** — გვაცნობა ექსპრემიერის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა. მისი სიტყვებით, მერაბიშვილის კიდევ ერთი მოთხოვნაა მინდობილობის გაფორმება ოჯახის წევრებზე მისი ფულადი ანგარიშების განკარგვისთვის.

ოდესღაც ყოვლისშემძლე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის, პრემიერისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლის მოთხოვნებმა საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვა. ევროპარლამენტის დეპუტატმა ქშიშტოფ ლისეკმა, რომელიც შეხვდა ბატონ მერაბიშვილს ციხეში, განაცხადა: „ის აშკარად განიცდის ინფორმაციის უკმარისობას“. ევროპარლამენტის სხვა დეპუტატებმა ევროპის სახალხო პარტიიდან ბრალი დასდეს საქართველოს ხელისუფლებას **„მერაბიშვილის პოლიტიკურად მოტივირებულ დევნაში“.**

სხვათა შორის, მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ წევრები ამ ბრალდებებს და თავად მერაბიშვილის შიმშილობას აღიქვამენ მშვიდად და დაცინვითაც კი.

„კანონის სრული შესაბამისობით, რომელიც უიმისოდ არც დამუშავებულა, მერაბიშვილი მიიღებს ტელევიზორს და რადიომიმღებსაც კი, თუ კარგად მოიქცევა“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

სანამ ხელისუფლება სწავლობს მაღალი რანგის პატიმრის მოთხოვნებს, პარლამენტის ექსსპიკერმა დავით ბაქრაძემ გვაცნობა, რომ ვანო მერაბიშვილი მონაწილეობას მიიღებს პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პრაიმერში, როგორც პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ოქტომბრის არჩევნების დროს. ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერებმა მოითხოვეს შეხვედრა კანდიდატთან ციხეში, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიუღიათ.

Коммерсантъ

წინასაარჩევნო კომპრომატები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა იმის შესახებ, რომ ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში აღმოაჩინეს იარაღის დიდი სამალავი და მრავალი სახის მოწყობილობანი ტერორისტული აქტების მოსაწყობად. ამას გარდა სპეციალურ საიდუმლო სანახში აღმოაჩინეს მრავალი დოკუმენტი, რომლებიც მოწმობენ კოალიციური „ქართული ოცნების“ ლიდერების დევნის შესახებ, როდესაც ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პარტია ჯერ კიდევ ოპოზიციაში იყო. ზოგიერთი მასალა შეიცავს ოპოზიციონერების პირადი ცხოვრების ვიდეოჩანაწერებს.

მთელი რიგი ექსპერტების აზრით, ქვეყნის ყოფილი ხელისუფლება ინახავდა ამ ჩანაწერებს ოპოზიციის აქტივისტების დაშინებისა და დისკრედიტაციისთვის. სხვათა შორის, საქართველოში მიაჩნიათ, რომ ახალი მმართველი გუნდი ასევე იყენებს „კომპრომატების გადმოგდების“ მეთოდს მოწინააღმდეგის დასასუსტებლად ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნების წინ.

იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს რეგიონში — სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით აფხაზეთისგან — აღმოაჩინეს იარაღის საწყობი, ჟურნალისტებს სპეციალურ ბრიფინგზე აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა.

იარაღის დიდი ოდენობის გარდა, სპეციალურ საიდუმლო სანახებში ინახებოდა მასალები კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერების, მათ შორის მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის შესახებ. ნინო გიორგობიანი ამტკიცებს, რომ ეს მასალები შეკრებილია 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების წინ, ესე იგი, იმ პერიოდში, როდესაც „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ოპოზიციაში იმყოფებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, არჩევნებში პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში, წინა ხელისუფლება აპირებდა ოპოზიციონერების, ესე იგი ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრების დაპატიმრებას.

სხვათა შორის, პრეზიდენტ სააკაშვილის თანამებრძოლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას „ბუშტი“ უწოდეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დეპუტატ სერგო რატიანის სიტყვებით, ხელისუფლება ცდილობს, მოახდინოს მიხეილ სააკაშვილის პარტიის დისკრედიტაცია პრეზიდენტის არჩევნების წინა პერიოდში, რომელიც ოქტომბრისთვის არის გათვალისწინებული.

მისი კოლეგა დავით დარჩიაშვილი ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ხელისუფლების განცხადება არ შეიძლება აღვიქვათ სერიოზულად და დაგვპირდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, თავის მხრივ, განახორციელებს წმინდა წინასაარჩევნო კამპანიას.

დავით დარჩიაშვილი: **„ეს იმ ადამიანთა დიდი ფანტაზიის ნაყოფია, რომლებიც ცდილობენ, ნებისმიერი საშუალებით დარჩნენ ხელისუფლებაში. მათგან განსხვავებით, „ნაციონალური მოძრაობა“ განახორციელებს საჯარო პოლიტიკას და არა სამხედრო კომპრომატებს“.**

ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სენსაციური გამოაშკარავება დაკავშირებულია მოახლოებულ პრეზიდენტის არჩევნებთან, ჩვენთან საუბარში დაადასტურა პოლიტოლოგმა იოსებ ცინცაძემ.

იოსებ ცინცაძე: **„ეტყობა ეს მხოლოდ ყვავილებია. წინასაარჩევნო ბრძოლა გვპირდება, რომ იქნება ძალიან საინტერესო, იმიტომ, რომ ამას მოჰყვება საპასუხო გამოსვლები იმათი, ვისაც კომპრომატები შეეხება. იქ არის სექსუალური ხასიათის მასალები, აღმოჩენილია ოპოზიციონერთა რაღაც სიები, რომლებიც შედგენილია წინასაარჩევნო კამპანიის დროს“.**

სხვათა შორის, ბატონი ცინცაძე არ გამორიცხავს, რომ იარაღის საწყობი და სამალავი კომპრომატებით მართლაც აღმოჩნდა: **„კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. თავად ინფორმაცია საგანგაშოა და მნიშვნელოვანი. მართლაც, არის საბაბი განგაშისთვის, ვინაიდან, ეტყობა, არის საბაბი ამგვარი ბრალდებებისთვის — ყოველივე ამის თითებიდან გამოწოვა ხომ შეუძლებელია“.**

სახელმწიფო კანცელარიის ყოფილმა ხელმძღვანელმა პეტრე მამრაძემ საფრანგეთის სახელმწიფო რადიოს აცნობა, რომ ქვეყნის წინა ხელისუფლება ხშირად იყენებდა სექსუალური ხასიათის ვიდეომასალებს ოპონენტების შანტაჟისა და დისკრედიტაციისთვის.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში თბილისში გამოიტანეს განაჩენი გლდანის № 8 ციხეში წამებისა და გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულების სამინისტროს რამდენიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკი მიჩნეულია დამნაშავედ ციხეებში გაუპატიურების წახალისებისა და ვიდეომასალების შეკრებისთვის ძიებაში მყოფი პირების შემდგომი დისკრედიტაციისა და შანტაჟისთვის.

ამას გარდა, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაჰპირდა საზოგადოებრიობას, რომ უახლოეს პერიოდში საჯაროდ განადგურდება იმ ვიდეოკომპრომატების რამდენიმე ჩემოდანი, რომლებიც შეკრიბეს სპეცსამსახურებმა მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა პრეზიდენტის უახლოეს თანამებრძოლს ვანო მერაბიშვილს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დააპატიმრეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და კორუფციის ბრალდებით.

rfi Русский

დედამიწის ზურგზე

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა პიტლერის წიგნის დახმარებით „ბაათამაშეს“ — გაცოფებული ფხენიანი ანგარიშსწორებით იმუქრება

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ მკაცრი რეაგირება მოახდინა ქსელში გაჩენილი ცნობის გამო იმის შესახებ, თითქოს ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი გაიტაცა ფიურერის შრომების შესწავლამ და ფიურერის ცნობილი შრომის „მაინ კამპფის“ ასლები გადასცა ხელქვეითებს. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში უარყვეს ცნობა და დაემუქრნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას.

* * *

ზემოდგომით ტიმოშენკო შეიძლება გაათავისუფლონ, რათა წავიდეს გერმანიაში სამკურნალოდ

უკრაინის ექსპრემიერის მომავალი გათავისუფლების შესახებ ხმებთან დაკავშირებით წერს „დი გარდიანი“. იულია ტიმოშენკოს ბედში მომავალი ცვლილებების შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა ყოფილმა სახალხო დეპუტატმა იური გრიმჩაკმა. მისი სიტყვებით, ამ ცოტა ხნის წინათ გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ რენატ კუზმინმა განაცხადა, რომ ტიმოშენკო მკურნალობისთვის შეიძლება უცხოეთში გაიგზავნოს.

* * *

კვლევის ფედერალურმა ბიურომ გამოაძვეყნა ნიუ-იორკში გასაწვევ პუნქტთან მომხდარი ტერორისტული აქტის ვიდეო

თვითნაკეთი მოწყობილობის აფეთქება ტაიმს-სკვერში მოხდა ხუთ წელზე მეტი ხნის წინათ (2008 წლის მარტში), მაგრამ მისი მომწყობი ბოროტმოქმედნი ჯერჯერობით ვერ დაუჭერიათ. იმის მცდელობით, რომ გამოძიება დაძრან მკვდარი წერტილიდან, ამერიკელმა სამართალდამცველებმა დახმარებისთვის მიმართეს საზოგადოებრიობას და გაზარდეს ანაზღაურება.

* * *

ობამა ბერლინში წამოაყენებს რადიკალურ ბირთვულ გეგმას ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთისთვის

ადრე მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, შეამცირონ ბირთვული ქობინების ოდენობა 1500-1675-მდე, მათი მზიდავებისა — 5500-1100 ერთეულამდე. თუ ობამას წინადადებას მოსკოვი მიიღებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას დარჩებათ ათას ერთეულზე ოდნავ მეტი ბირთვული იარაღი. პრეზიდენტი ასევე გვაცნობებს, რომ იგი დაარწმუნებს მოკავშირეებს ნატოს მხრიდან, შეამცირონ ტაქტიკური ბირთვული იარაღი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინტერნეტიდან

ნაციონალებმა ნაცისტებს გადაუჯოკრეს!

თუ ესენი მალე არ აღმოჩნდებიან ციხეში, უკვე ქუჩებში დაიწყება ნაცბანდის წევრთა დედის „ალერსი“

სამეგრელოში **აღმოჩენილ საიდუმლო სამალავებში ნაპოვნი ერთ-ერთი ვიდეოფირი „ექსპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი. ვიდეოფირი 2007 წლის დეკემბერშია გადაღებული და მასზე მამაკაცების გაუპატიურების სცენებია აღბეჭდილი.**

„ექსპრესნიუსის“ რედაქტორმა ფირის ნაწილი თავად ნახა, ხოლო ინფორმატორმა განმარტა, რომ ვიდეო გადაღებულია ქალაქ ქუთაისში, „კანონიერი ქურდის“ გაიოზ ზვიადაძის, იგივე „გია კუტაისკის“ სახლში, რომელიც მას 2007 წლის ოქტომბერში ჩამოერთვა და პოლიციად გადაკეთდა.

სახლის პირველ სართულზე იდგა ე.წ რუსული ბილიარდის სათამაშო მაგიდა. მას შემდეგ, რაც შს მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სახლში პოლიცია გახსნას ეს მაგიდა განყოფილებიდან არ გაუტანიათ. 2007 წლის 25 ოქტომბერს ქუთაისში ე.წ „ქურდული ტრადიციების“ მიმდევართა წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ჩატარდა, რა დროსაც სამართალდამცავებმა 13 კრიმინალური ავტორიტეტი და ქურდული სამყაროს წარმომადგენელი დააკავეს. ვანო მერაბიშვილმა ბრიფინგი, სწორედ ზვიადაძის სახლის წინ გამართა და განაცხადა, რომ „შავები“ ამ სახლში დაიკითხებიან.

ფირზე ჩანს ბილიარდის მაგიდა, სადაც ხელ-ფეხდაბმული დედიშობილა ახალგაზრდა შველას ითხოვს და სხვადასხვა ხმებს გამოსცემს. დაბმული ადამიანის სახიდან კადრი იშლება და ჩნდება ბილიარდის კია, რომლითაც უცნობი ადამიანი, რომლის სახეც ვიდეოში არ ჩანს, მას აუპატიურებს. მომდევნო კადრში ნაჩვენებია იგივე ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ მას **„ქურდობა, არ უნდა და თანახმაა პოლიციასთან ითანამშრომლოს“.**

ანალოგიურია მეორე კადრიც, სადაც იგივე მეთოდით სხვა ახალგაზრდის გაუპატიურების სცენაა გადაღებული. ვიდეოში პირდაპირ ჩანს ჯერ კიათი, შემდეგ კი დუბინკით გაუპატიურების სცენა. მეორე კადრში ის პირი, ვისზეც სექსუალური ძალადობა განახორციელეს, ამბობს, რომ **„თანახმაა, იყოს პოლიციის ინფორმატორი, ოღონდ, რაც მოხდა დარჩეს საიდუმლოდ“.**

„ექსპრესნიუსისთვის“ ინფორმაციის მომწოდებელი ამბობს, რომ მსგავსი შემთხვევები ქუთაისის პოლიციის ამ განყოფილებაში სისტემატურად ხდებოდა. ამასთან, იგი ასახელებს ვინმე შვანგირაძეს და სანიკიძეს, ვინც სექსუალურ ძალადობას ორგანიზებას უწევდა.

რესპონდენტს არ სურს თავისი ვინაობის გამხელა, სააგენტო კი, კანონით მინიჭებული უფლებით, მის ვინაობას არ ასახელებს.

ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. აი, კომენტარებიც:

„მაინტერესებს, ასეთი მეთოდები ნაციონალებმა მოიგონეს, თუ მანამდეც ასეთ უბედურებაში ვცხოვრობდით? ასეთი უბედურების შემდეგ ციხიდან გამოსული რომელი ადამიანი დარჩებოდა ადამიანად“.

„მაინტერესებს, ასეთი მეთოდები ნაციონალებმა მოიგონეს თუ მანამდეც ასეთ უბედურებაში ვცხოვრობდით?“ ეს კითხვა მეც დამებადა. ეს ხდებოდა და ხდება პოლიციის განყოფილებებში — და ადამიანი, ვინც მიდიოდა პოლიციაში სამუშაოდ — სადისტური გადახრებით იყო და არის დაავადებული???

„ბიჭო, ესენი ვინ ყოფილან...! ფაშისტებს გადაუჯოკრეს ყველანაირად....

კიდე გამოდიან და მაგარ გონორზე არიან ეს პედერასტები. ახია ჩვენზე“...

„იმის გახმაურება, რომ რა ფირებია ამოღებული, სიცოცხლის საფრთხეს უქმნის მსხვერპლს! დამნაშავეები კი უნდა დაისაჯონ! ასეთი დამნაშავეების სასამართლო არ უნდა იყოს დახურული! მაგათ მოდგმას და ჯილაგს კი უნდა აეკრძალოს ქვეყანაში ცხოვრება“!

„ახლა მაინც დაისაჯონ ეს არაკაცები“...

„კიდევ რომ მშრალად გამოძვრნენ ეს არაკაცები, ხალხი მართლა გამოვა ისევ ქუჩაში“...

„დარწმუნებული ვარ, თუ ესენი მალე არ აღმოჩნდებიან ციხეში, უკვე ქუჩებში დაიწყება ნაცბანდის წევრების დედის „ალერსი“.

„ფირები გაამრავლონ და ევროპა-ამერიკაში ნაცების კონგრესმენ და სენატორ მომხრეებს აჩუქონ“.

„გავრცელდეს კადრები... გაიგზავნოს კონგრესში და ნახონ, ვის იცავენ“...

„ესაა ადამიანის უფლებები? თუ გაარაადამიანურობის ექსპერიმენტია“...

„EPP-ს წარმომადგენლებს ანახეთ და თამარა ჩერგოლეიშვილს, მათი რეაქცია და კომენტარი იქნება საინტერესო. ტაბურეტზე რომ ატეხეს ერთი ამბავი, ტაბურეტზე, რომელიც არავის მოხვედრია“.

„უბედურების მორევში ვცხოვრობდით ამდენი ხანი, ფასადური პოლიტიკით შენიღბული მთავრობა დღესაც მავანთა სარკეა. გამოფხიზლდით, ქართველებოოოოო“...

„ასეთი მასალები ხელთ გქონდეს და კონგრესი გიწერდეს დასკვნას, სადაც ფაქტურად გეუბნება, გაათავისუფლე მერაბიშვილი! ეს რა მთავრობაა! ფუ რა მართლა!“

„ნაცებს მაინც არავინ არ სჯის, ხელშეუხებლები არიან, ევროკავშირი და ამერიკის მთავრობა იცავთ, მათი შიშით ყველაფერი ეპატიებათ“...

„ეს მეც მიკვირს, რატომ არ ამზეურებენ ამ მასალებს. გააკეთონ ფილმი, აიღონ ინტერვიუები ნაწამები ხალხისგან. ამას თუ არ გააკეთებენ, ბუნებრივია ყველას ეჭვი გაუჩნდება, დანაშაულს იძიებენ, თუ პოლიტიკურ დევნას ახორციელებენ“...

თამთა ქიზიყურაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

2014 წლის შემდეგ ქართველი სამხედროები ავღანეთში პროფილს შეიცვლიან

გადაწყვეტილია, რომ ქართველი სამხედროები 2014 წლის შემდეგ ავღანეთში აუცილებლად იქნებიან ტრენერების და კონსულტანტების სახით წარმოდგენილი, — ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მთავრობის ღია მმართველობის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს ძალიან კარგი საწვრთნელი ბაზები აქვს და არ არის გამორიცხული ამ ფორმითაც გაუწიოს დახმარება ავღანეთის მთავრობას.

რაც შეეხება იმას, რომ 2014 წლის შემდეგ ISAF-ის კონტინგენტები ავღანეთს ტოვებენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სრულად დატოვებენ, მოხდება ეტაპობრივი გამოსვლა. პეტრიაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვა, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩება. „მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩება, რადგან „თალიბანმა“ არ მოიკიდოს ისევ იქ ფეხი, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ინტერპრესი

◎ საიდუმლო სამალავი

„როგორც ჩანს, კვანძები ნელ-ნელა გაიხსნება“

(მეოთხე გვერდიდან)

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ სამეგრელოში ფარული სამალავები ძმები ახალაიების ორგანიზებით შეიქმნა და როლანდ ახალაიას დავალებით ადგილზე ამას ორგანიზებას მეგის ქარდავა და თენგიზ გუნავა უწევდნენ. ამის შესახებ თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

— სანამ გამოძიება არ დასრულება, ვერაფერს გეტყვით.

— უმცირესობა აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის უწყებამ ეს სკანდალური ინფორმაცია თალიბების სახელით გავრცელებული ვიდეოს გამოძიების პროცესის გადაფარვის მიზნით გამოაქვეყნა...

— წინა ხელისუფლება რა მეთოდებით მოქმედებდა, ეს უკვე ჩანს. ისინი საკუთარი დანაშაულების თუ არასწორი პოლიტიკის გადაფარვისთვის, სხვადასხვა მოქმედებას ახორციელებდნენ. მათთვის ინფორმაციის გადაფარვა ჩვეულებრივი მოქმედება იყო. მინდა, უმცირესობა დავამშვიდო და ვუთხრა, რომ ახალი ხელისუფლება რაიმე მოვლენის გადაფარვით საერთოდ არ არის დაინტერესებული. ჩვენს ინტერესებში ორივე ფაქტის გამოძიება შედის და შედეგებს საზოგადოება უახლოეს მომავალში შეიტყობს. ჩვენ არ გვაქვს გადაფარვის სურვილი, არამედ ჭეშმარიტების დადგენის. როგორც ჩანს, კვანძები ნელ-ნელა გაიხსნება.

— „კვანძები გაიხსნება“ და ყოფილი ჩინოვნიკების დაჭერები გაგრძელდება? რამდენად მკაცრი და ობიექტური იქნება გამოძიება?

— ვფიქრობ, რომ უმკაცრესად განსაკუთრებით, დამკვეთები და ორგანიზატორები უნდა დაისაჯონ, რადგან ეს საქმე სერიოზულ დანაშაულთან მიდის. პოლიტიკოსების პირადი საქმეები და ფოტოები ჰქონდათ შეგროვებული, ასევე ნარკოტიკული ნივთიერებები და ვეჭვობ, რომ ამ ყველაფრის გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ უნდოდათ. არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესში ეს სამალავები სახელდახელოდ მომზადდა. თუმცა, სანამ გამოძიება დასრულდება, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია.

თეონა მანაგაძე

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი (TEWHIP)
განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: 7741–GE
სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: TEWHIP/CS/SSS-04
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: მცირე ზომის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გასწვრივ კმ55–კმ95
ტენდერის სახეობა: ერთ პირთან მოლაპარაკება
კონტრაქტორი: ერთობლივი საწარმო ნიველტ ინჟინერ Gmbh / შ.პ.ს. საგზაო რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის საზედამხედველო დირექცია
მისამართი: ვინერის ქუჩა, 35, 2000, ქ. სტოქერაუ, ავსტრია.
კონტრაქტის ღირებულება: აშშ$ 41,955.56 და 45,430.00 ლარი
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 5 (ხუთი) თვე

Contract Award Notification

Project Name: **Third East West Highway Improvement Project (TEWHIP)**
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: Georgia
Project Number: 7741-GE
Bid/Contract Reference No: TEWHIP/CS/SSS-04
Scope of Contract: **Supervision of Small-Scale Construction Works Along KM55-KM95 of E-60 Highway**
Bid type: **Single Source Selection**
Contractor: **JV Nievelt Ingenieur GmbH / Roads Rehabilitation and Modernization Supervision Direction Ltd.**
Address: **Wiener Strasse 35, 2000, Stockerau, Austria.**
Total contract cost: **US$ 41,955.56 and 45,430.00 GEL**
Contract duration: 5 **(five) months**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სატენდერო მოწვევა

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების
მეორე პროექტი (SLRP II) (P122204)
სატენდერო მოწვევა #SLRP II/CW/NCB-12

დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის გზის კმ17-კმ26 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტისთვის (SLRP II). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის გზის კმ17-კმ26 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშაოების განსახორციელებლად და საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების, გზაჯვარედინებისა და გზის კუთვნილება-მოწყობილობების სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია 12 თვე.

3. სამუშაოების წინასწარი ღირებულება შეადგენს **1,944,726.47 ლარს** ყველა სახის გადასახადის და სახელმწიფო მოსაკრებელის ჩათვლით, როგორც ეს წარმოდგენილია ინსტრუქციის 14.7 ქვეთავში. თუმცა, ტენდერში მონაწილის პასუხისმგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს წინასწარ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია მესხიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 2,900,000 (ორი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 1,500,000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 20,000 მ2 ასფალტ–ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მინიმუმ 1 კონტრაქტის ფარგლებში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება,რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 320,000 (სამას ოცი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან აშშ დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: **TRESGE22**
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362
აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2013 წლის 22 ივლისის 17:00 საათისა ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს 2013 წლის 22 ივლისის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, IV სართული, ოთახი 410
ბ-ნი ილია მესხიშვილი, შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
ტელ: + (995 32) 37-05-08 დამ. 305
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
ე-ფოსტა: **info@georoad.ge**
ვებ-გვერდი: **www.georoad.ge**

INVITATION FOR BIDS

Georgia
Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) (P122204)
Bid Invitation No: SLRP II/CW/NCB-12

Didi Dmanisi-Dmanisi-Gomareti-Bediani Rehabilitation Works of Road Section km 17 - km 26

1. Georgia has applied for financing from the World Bank toward the cost of the Second Secondary and Local Road Project (SLRP II) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for rehabilitation works of secondary road Didi Dmanisi-Dmanisi-Gomareti-Bediani km 17 - km 26 section.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement, structures, junctions, intersections and road facilities. Implementation period for execution of construction works is **12 months.**

3. The estimated cost of proposed works is **GEL 1,944,726.47**, including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least 2,900,000 GEL (Two Million Nine Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 3 (three) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 5 (five) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 1,500,000 GEL (One Million Five Hundred Thousand Georgian Laris);

c. At least 20,000 m² of pavement rehabilitation performed at least in 1 contract in the last 5 years;

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 320,000 GEL (Three Hundred Twenty Thousand One Million GEL) or equivalent.

f. Additional Qualification Criterion as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

7. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer:
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

8. The Bids should be delivered at the address below not later than **July 22, 2013, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on **July 22, 2013, 17:00** Hours local time.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 91 days+28 days = 119 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor
Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ავტოგოლი

საბაბი მიეცით და...

უკვე გაუწყეთ, რომ ავსტრიაში საწვრთნელ შეკრებაზე გამგზავრებამდე თბილისის „დინამომ“ გიუმრის „შირაკს“ ამხანაგურ შეხვედრაში უმასპინძლა და კეთილმეზობლურად დაშორდა — 1:1.

თითქოს აქ უნდა დასმულიყო წერტილი, მაგრამ სტუმართა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სომხურმა საინფორმაციო საშუალებებმა ერთი ამბავი ატეხეს, საფინალო სასტვენის შემდეგ „თეთრ-ლურჯთა“ ფანკლუბის წევრები საქართველოს დედაქალაქში თავიანთი საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად ჩასულ რამდენიმე ათეულ ქომაგს ფიზიკურად გაუსწორდნენო.

მართალია, დიღმელთა უფროსობა კლუბს საზღვარგარეთ ახლავს, მაგრამ საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, გავრცელებულ ხმებზე რეაგირება საჭიროდ თბილისში მყოფმა დინამოელთა დირექტორმა სანდრო შახოვმა მიიჩნია და განაცხადა: **„ბუნებრივია, შეხლა-შემოხლა არა მარტო სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელ პრინციპულ მეტოქეთა ქომაგებს, არამედ თვით ერთი ქალაქის გუნდების გულშემატკივართა შორისაც ხდება, მაგრამ ამჯერად არანაირი ანგარიშსწორება არ განხორციელებულა, რადგან სამართალდამცავები დროულად ჩაერივნენ საქმეში და მხარეები სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისთანავე დააშორიშორეს ერთმანეთისგან“.**

ვფიქრობთ, სათქმელი ზუსტად არის ნათქვამი და დამატებით კომენტარს აღარ საჭიროებს. საკითხავი მხოლოდ ის არის, რომელი ძალის ინტერესებს ემსახურება ბუზის სპილოდ წარმოჩენა და ამით ისედაც არცთუ საამური ქართულ-სომხური ურთიერთობების ზედმეტად დაძაბვა?

გია პლატონიშვილი

◎ ბიატლი

ასაკი – სამი, მონაწილე – 110

თბილისში პირველად გაიმართა ბიატლში ეროვნული ჩემპიონატი, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი ვიაჩესლავ მალიშევი) იყო. სპორტსმენები ორ დისციპლინაში — ცურვასა და რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სტარტი მათ გლდანის საცურაო აუზში აიღეს, სირბილში პაექრობა კი „ვარდების რევოლუციის“ პარკში დაასრულეს. სამ ასაკში (სულ 110 გოგონა და ვაჟი ცდიდა ძალებს) გამარჯვებულებსა და პრიზიორებს მედლები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

„ჩემპიონატის გამართვით კმაყოფილი ვარ. ათლეტებმა კარგად იასპარეზეს ცურვაში. ასეთი შედეგებით ევროპის ჩემპიონატის ხუთეულში მოხვედრაც შეუძლიათ, რბენაში კი მოიკოჭლებენ. მწვრთნელებმა და შეგირდებმა ამ მიმართულებით მეტი უნდა იმუშაონ“, — თქვა ასპარეზობის დასრულების შემდეგ ვიაჩესლავ მალიშევმა.

კვარცხლბეკი

2000-2004 წ.წ. დაბადებულნი. ვაჟები. 1. რატი კერვალიშვილი („ტონუსი“, **ცურვა** — 1.08,48, **რბენა** — 4.06,00, **ჯამური ქულა** — 1873), 2. გიორგი ბახუტაშვილი (რუსთავი, 1.08,62 — 4.08,00 — 1865). **გოგონები.** 1. ნატალია ჯაფარიძე („ტონუსი“, 1.11,47 — 4.40,00 — 1875), 2. ნათია მაჭავარიანი (საჩხერე, 1.21,53 — 4.42,00 — 1777), 3. ელენე ბერაია („ლაგუნა-ვერე“, 1.08,61 — 4.48,00 — 1870).

1998-1999 წ.წ. დაბადებულნი. ვაჟები. 1. აკაკი ვაშაკიძე („ტონუსი“, 1.59,59 — 9.04,00 — 1752), 2. ჯუდურ ბიჭიკაშვილი (რუსთავი, 2.12,03 — 9.31,00 — 1492), 3. დავით ბოკერია („ტონუსი“, 2.22,66 — 9.59,00 — 1252). **გოგონები.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 2.31,03 — 9.49,00 — 1312), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 2.36,95 — 11.26,00 — 916).

1995-1997 წ.წ. დაბადებულნი. ვაჟები. 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა-ვერე“, 1.54,50 — 8.19.00 — 2004), 2. დავით შახნაზაროვი (თბილისი, 2.04,37 — 8.35,00 — 1808), 3. ნიკა ყავლაშვილი (რუსთავი, 2.05,89 — 8.56,00 — 1704). **გოგონები.** 1. ელენე უნდილაშვილი (დიღომი, 2.33,42 — 10.02,00 — 1232), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 2.48,47 — 10.26 — 836), 3. ქეთევან ცომაია („ნეპტუნი“, 2.54,35 — 11.28,00 — 708).

ლეძლო ცინცაძე

◎ კონტრაქტი

მოთმინებითა შენითა...

მართალია, ამ დღეებში ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება ბრაზილიისკენაა მიპყრობილი, სადაც კონფედერაციათა თასი თამაშდება, მაგრამ არანაკლებ ინტერესს სატრანსფერო ბაზარზე განვითარებული მოვლენები იწვევს.

მას შემდეგ, რაც დავით ვილიამ და სანჩესმა „ბარსელონას“ ბოსებს იმედები გაუცრუეს, კატალონიურ გრანდში მთელი სიმწვავით დაისვა ადამიანგოლ ლეო მესისთვის ღირსეული მეწყვილის მოძებნა.

არცთუ წარმატებული სეზონის დასრულების შემდეგ, რომელშიც „ბროწეულისფერები“ მხოლოდ პრიმერადივიზიონში გამარჯვებით დაკმაყოფილდნენ, ვისი კანდიდატურა აღარ დასახელდა, თუმცა, ნათელი იყო, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის მაისურს რომელიმე ტოპ-თავდამსხმელი მოირგებდა.

და აი, ვარაუდი გამართლდა — „კამპ ნოუზე“ შეკრებილ 40-ათასიან აუდიტორიას საზეიმოდ წარუდგინეს „სანტოსის“ ბომბარდირი ნეიმარი, რომელიც ევროპაში ხანგრძლივი ორჭოფობისა და მსუყე კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ გადმობარგდება.

როგორ მოხდება არგენტინულ (მესი) — ბრაზილიური (ნეიმარი) კოჰაბიტაცია? — საკითხავი, აი, ეს არის.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ზღაპრული ფინიში

ტიმ დანკანი 1999, 2003, 2005 და 2007 წლებში უკვე ფლობდა ნბა-ს ჩემპიონის ოქროს ბეჭედს. ლეგენდარულ ვეტერანს 40 წამი აშორებდა მეხუთე ტრიუმფს, როცა მისი ძალისხმევით (30 ქულა) „სან ანტონიო“ ფინალური

სერიის მეექვსე შეხვედრაში სტუმრად „მაიამის“ სოლიდური ხუთქულიანი სხვაობით ამარცხებდა, მაგრამ...

დარჩენილ დროში მასპინძლებმა სასწაული მოახდინეს — მატჩის ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ ლებრონ ჯეიმსმა (32 ქულა) და ცივსისხლიანმა რეი ალენმა სამქულიანებით გააცამტვერეს მრისხანე მეტოქის უპირატესობა, რასაც კავაი ლეონარდმა ერთადერთი ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი უპასუხა და ბრძოლა დამატებით დროში გაგრძელდა — 95:95.

აღსანიშნავია, რომ დასკვნით პერიოდში ტეხასელთა ლიდერმა ტონი პარკერმა გაიბრწყინა, მაგრამ ემანუელ ჯინობილის უხეშმა შეცდომებმა მის პარტნიორთა გარჯა წყალში ჩაყარა.

რაც შეეხება ნერვების ომს, იქ ბედმა ფლორიდელებს გაუღიმა — 103:100.

ასე რომ, სერიაში საერთო ანგარიში გათანაბრდა — 3:3 და ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონის ვინაობას სატიტულო მეშვიდე დუელი გამოავლენს, რომელიც ხვალ გამთენიისას ისევ მაიამიში გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მძლეოსნობა

მდიდრებიც ტირიან

განვლილ კვირაში განვითარებულმა მოვლენებმა ყურადღების ცენტრში იამაიკელი მძლეოსნები მოაქცია.

უპირველესად, აღსანიშნავია ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონის ჰუსეინ ბოლტის სენსაციური მარცხი რომში გამართულ „ოქროს ლიგის“ ერთ-ერთ ეტაპზე, სადაც ცოცხალ ლეგენდას 200-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან ერთი მეასედი წამით ამერიკელმა ჯასტინ გეტლინმა მიასწრო.

რასაკვირველია, წაფორხილებისგან სპორტში არავინაა დაზღვეული, მაგრამ მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კუნძულელი ანტილოპის თუნდაც ლოკალური წარუმატებლობა არაერთ კითხვას აჩენს, რომლებზეც პასუხს, ვიმედოვნებთ, მომავალი ფორუმი გაგვცემს.

კიდევ უფრო დიდ შარში გაეხვია ასევე ოლიმპიური ოქროს მფლობელი ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში ამხილეს. მოგეხსენებათ, რომ დოპინგზე ჩავარდნა ამ ბოლო დროს გამკაცრებული სანქციების შედეგად კარიერის დასასრულთან ან, საუკეთესო შემთხვევაში, ხანგრძლივ დისკვალიფიკაციასთან ასოცირდება, თუმცა სახელოვან მორბენალს იმედად მეორე ტესტ-სინჯი რჩება — იქნებ მან პირველის დასკვნა გააბათილოს.

გიორგი შოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შეხვედრა კრიტიკოსთან

ქართული მწერლობა მშვენიერების სამსახურში უნდა ჩადგეს...

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ თაოსნობით, მწიგნობართა ასოციაციაში გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდა კრიტიკოსთან ლევან ბებურიშვილთან, რომელიც ავტორია წიგნისა „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“.

შეხვედრა გახსნა და ახლად გამოცემული წიგნის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა „ანეულის“ რედაქტორმა თამარ შაიშმელაშვილმა. მთავარი მოხსენებით პოეტი ნინო ტარყაშვილი გამოვიდა. მისი თქმით, ლევან ბებურიშვილის წიგნი დიდი ტკივილითაა დაწერილი:

„წიგნში „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“, რომლის სათაურიც აკაკი ბაქრაძის წიგნის „მწერლობის მოთვინიერება“ მიხედვით შეირჩა, მწერალი მსჯელობს ზოგადად საჭირბოროტო პრობლემებზე, მისი წარმოშობის მიზეზებზე, ხელშემწყობ პოლიტიკურ გარემოზე და შემდეგ მოჰყავს კონკრეტული მაგალითები იმ მწერალთა შემოქმედებიდან, რომელთათვისაც დიდი ხანია აღარ არსებობს მორალური და ეთიკური ჩარჩოები. უფრო სწორად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისინი რაღაც ამორალურ მორალს ამკვიდრებენ. მხატვრულ ტექსტებში ყველაფრის აღწერილობას დასაშვებს ხდიან, იმისაც, რისი გაფიქრებაც ზარავს ნორმალურ ადამიანს, ან რომელი ცოდვის შესახებაც მან უბრალოდ არც კი იცის. ასე დგება ქართული მწერლობა ცოდვის და არა მშვენიერების სამსახურში“.

დაბოლოს, ნინო ტარყაშვილმა დასძინა, რომ ლევან ბებურიშვილის გამოკვლევა ის წიგნია, რომლის დაწერაც აუცილებელი იყო. ეს არის საჭირო წიგნი ლიტერატურულ ცხოვრებაში თუნდაც ბოლო ოცი წლის მანძილზე, რადგან დღეს საქართველოს ზნეობრივი სიმტკიცე უფრო სჭირდება, ვიდრე ვინმეს თუნდაც „ლამაზი“ ლექსებიო. თუმცა, აქაც კი შეიძლება დაისვას კითხვა: ყველაფერი, რასაც დღეს „ლამაზს“ ვუწოდებთ, მართლა ისეთი ლამაზია, როგორც გვეჩვენება?

ლევან ბებურიშვილს წიგნის გამოსვლა მიულოცეს **გურამ პეტრიაშვილმა, რობერტ პეტრიაშვილმა, ციალა არდაშელიამ, მანანა კვაჭაძემ, აკაკი ბრეგაძემ, გურამ ყორანაშვილმა, ციირა ყურაშვილმა, ზურაბ აბაშიძემ, ჯუმბერ ჯიშკარიანმა, თამილა ნიჟარაძემ, მაია ბერიძემ...** მათი აზრით, საკითხი ღრმად და ზუსტად არის განხილული, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა მოდუნებულია, გაზეთი და ჟურნალი არ არის, სადაც ამ თემაზე აზრს გაბედულად გამოხატავენ. ლევანის წიგნს თავდაპირველად ემზარ კვიტაიშვილი გამოეხმაურა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ხოლო ჟურნალ „ამერ-იმერში“ თითქმის მთლიანად დაიბეჭდა და სხვადასხვა რეგიონში ასეც გავრცელდა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის **თამარ მიქაძის** თქმით, ნათებას ჰგავს წიგნის ავტორთან შეხვედრა: **„ვუერთდები საერთო მოწონებას. საფუძვლიანად გავეცანი წიგნს. მეტსაც გეტყვით, ორჯერ წავიკითხე. ამ თემაზე სხვა წიგნიც მინახავს, მაგრამ რითი განსხვავდება ლევან ბებურიშვილის ეს წიგნი? აქ სრულყოფილი ანალიზია. ვისურვებდი, მაგალითი აიღონ სხვებმაც, უფროსმა თაობამაც. შეიძლება ისიც ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა ადამიანისგან უნდა წამოსულიყო ინიციატივა. ლიტერატურული ცხოვრება ყოფის ნაწილია, ვფიქრობ, საზოგადოებრივი აზრი უნდა გაძლიერდეს, რომ ერთი მუჭა ადამიანებმა ვეღარ გაბედონ თავისი აზრის თავს მოხვევა“.**

ელგუჯა ლებანიძის თქმით, ბატონი ლევანის ამ გამოსვლამ შედეგი უკვე მოიტანა და ბევრი ადამიანის აზროვნება რადიკალურად შემოატრიალა.

იკა ქადაგიძემ ლევანის ნაშრომს იმ კატეგორიის წიგნი უწოდა, რომელიც ძალიან სერიოზულად განსახილველია. **„ლევან ბებურიშვილი სერიოზული კრიტიკოსია, რადგან სერიოზულად აანალიზებს ქართულ სატკივარს და წერს იმ გამომცემლობების დანაშაულებრივ საქმიანობაზე, რაზეც ჩვენი კომფორმისტული საზოგადოება მუდამ დუმდა... კარგია, რომ ლევანმა ამ ყველაფერს სისტემური სახე მისცა. ეს რომ ლევანს არ გაეკეთებინა, ჩვენი საზოგადოება იყო იმ მდგომარეობაში, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ამაზე არავინ არ საუბრობდა“...**

დაბოლოს, **ლევან ბებურიშვილის** თქმით, ეს წიგნი 6 თვის განმავლობაში იწერებოდა: **„ზოგი დაინტერესდა, ვინმემ ხომ არ მომცა რჩევა, ბიძგი, რომ ეს დამეწერა. არავის არ მოუცია რჩევა, თავად მომაფიქრდა. ცხადია, წაკითხული მქონდა აკაკი ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერება“, როდესაც თანამედროვე ტექსტებს ვკითხულობდი, იმდენად აშკარა პარალელების დაჭერა შეიძლებოდა, თუ როგორ ხდება ხელოვნების იდეოლოგიზება, გადავწყვიტე მასალების შეგროვება და მცირე წიგნაკის სახით მკითხველისთვის მიწოდება. არავის ამ წიგნის დაწერა არ ურჩევია, პირიქით დამიშალეს კიდეც გამოქვეყნება. ზოგიერთმა ჩემმა პროფესორმა, რომელიც დღედაღამ სარწმუნოებაზე და ეროვნულობაზე ღაღადებს, მითხრა: ახალგაზრდა ხარ, უნდა დამკვიდრდეო. სხვათა შორის რამდენიმე ადამიანმა უარი მითხრა რედაქტორობაზეც. დაბოლოს, ქალბატონმა რუსუდანმა თავს იდო ეს საქმე და ამისთვის მას ულრმესი მადლობა ეკუთვნის“.**

„რა არის ამ წიგნის მთავარი გზავნილი? – განაგრძო ლევან ბებურიშვილმა, – **საბჭოთა ეპოქასთან ერთად ლიტერატურის იდეოლოგიზება არ დამთავრებულა და ბევრად უფრო დახვეწილი მეთოდებით მიმდინარეობს ეს პროცესი და ნეოლიბერალურ- გლობალისტურ იდეოლოგიას ვხვდებით თანამედროვე ტექსტებში. ამ იდეოლოგიამ დაიმორჩილა ჩვენი მწერლობის დიდი ნაწილი. აქ ერთი ფაქტიც უნდა ვთქვა, ჯერ კიდევ დასახელებული იყო გურამ ოდიშარია კულტურის მინისტრობის კანდიდატად, დანიშნულიც არ იყო, როცა სწორედ ამ ლიბერასტურმა დაჯგუფებებმა დაიბარეს თავისთან და კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ ძველი პარადიგაგრძელებულიყო კულტურის სამინისტროში. სამწუხაროდ, ასეც არის და გრძელდება ეს პარადიგმა, იმიტომ რომ კულტურის სამინისტრო დაატარებს უცხოეთში ბურჭულაძეს, ბუღაძეს, შამუგიას, ყუბანეიშვილს და სწორედ მათი სახით ხდება ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ეს არის უდიდესი ტრაგიკომედია. ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში აფურთხებდნენ ქართულ კულტურას, დღეს არიან ქართული კულტურის დესპანები საზღვარგარეთ“.**

შეკრებილთ ერთხმად აღნიშნეს, რომ წიგნი უწინარესად კულტურის სამინისტროში უნდა წაიკითხონ, რათა ამქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დაფასდეს ის, რაც მართლა ფასეულია და ნამდვილ ლიტერატურას განეკუთვნება.

ნატა ნიბლაძე

შვილები ლია, ლეილა, ვალერი, სიძე ილია, რძალი ნანა, შვილიშვილები ტარიელი, თამთა, დათო, თამარი, ნინო, თამარი, გიორგი, რძალი სოფო, შვილთაშვილები გიორგი, მარი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა კონსტანტინეს ძე ჩინჩალაძე

პანაშვიდი 20, 21 VI, გამოსვენება 22 VI, 15 სთ. ზემო ფონიჭალა, მე-17 კორპუსი, II სართული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს თავის ყოფილ თანამშრომელს ლია ჩინჩალაძეს მამის

შოთა ჩინჩალაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

სასწავლებელი გაქურდული დახვდათ

სასწავლო ცენტრი „ბი დი სი აკადემია“ გაქურდეს. ცენტრის თანამშრომლებმა ადგილზე საგამოძიებო სამსახური გამოიძახეს და სისხლის სამართლის საქმე ქურდობის ფაქტზე აღიძრა.

„ბი დი სი აკადემიის“ დამფუძნებლის ნათია შათირიშვილის განცხადებით, სასწავლებელში მისულ თანამშრომლებს აკადემია გაქურდული დახვდათ.

– აკადემია მუშაობს უწყვეტ რეჟიმში და ამ ინციდენტის გამო შეფერხდა სწავლის პროცესი, ვიმედოვნებთ, რომ სამართალდამცავები უმოკლეს ვადაში შეძლებენ დანაშაულის გახსნას. მიმდინარეობს ზარალის დათვლა. დანაშაულს ძველი თბილისის რაიონის პოლიციის განყოფილება იძიებს, –აცხადებს ნათია შათირიშვილი.

ინტერპრესი

◎ ზეიმი

სპექტაკლი ავღანეთში დაღუპულ ქართველ მეომრებს მიეძღვნა

მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი მანანა ფურცელაძე) სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით წარმოადგინეს სპექტაკლი „ბერიკები“. სპექტაკლს საფუძვლად დაედო პოეტ მარიამ წიკლაურის ამ 15 წლის წინათ დაწერილი ამავე სახელწოდების პიესა.

„მარიამი ჩვენი სკოლის მეგობარია და არა მარტო ჩვენი სკოლის, მისი მშვენიერი ლექსები შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოებში და ასეც ეცნობიან ბავშვები, რომ აღარაფერი ვთქვათ მის საბავშვო და სადიდო წიგნებზე. იგი არაერთი პრემიის ნომინანტია და მისი შემოქმედებაც და პიროვნებაც სიყვარულს იმსახურებს ყველაფერ იმისთვის, რასაც ის აკეთებს ბავშვებისათვის, უფროსი მკითხველებისათვის, მწერლებისათვის და საერთოდ ქვეყნისათვის“, – აღნიშნა სკოლის ხელოვნების პედაგოგმა, სოხუმის თეატრის ყოფილმა მსახიობმა, სპექტაკლის სულის ჩამდგმელმა ზეინაბ დვალიშვილმა.

წარმოდგენაზე მუშაობდნენ: პედაგოგი სალომე კბილაშვილი, რომელიც სპექტაკლის ქორეოგრაფიც არის. მუსიკალურად გაფორმეს ანსამბლ „ერისიონის“ სოლისტმა, ბატონმა ზურაბ ტლაშაძემ და უფროსკლასელებმა: გივი მანჯგალაძემ, სერგო ჩხიკვაძემ და გიორგი ახალაძემ.

„და რაც მთავარია, სპექტაკლს ვუძღვნით აფხაზეთში, სამაჩაბლოში და ავღანეთში დაღუპულ ქართველ მეომრებს, მათ, ვინც სიკვდილით დაამტკიცა სამშობლოს მოქალაქეობა და სიყვარული. მათი ცხოვრება ჩვენს მოსწავლეებში აყალიბებს გმირულ და ზნეობრივ სულისკვეთებას, როგორც კარგი ქართული ლიტერატურა, ლექსი თუ სიმღერა. შევეცადე ამ არეულ, ამღვრეულ და ზოგჯერ თავდაკარგულ დროში, როცა ძნელია ქრისტიანული იდეალებისა და ღირებულებების დაცვა, დაგვედგა პატარა სპექტაკლი და ასე გამოგვეხატა სათქმელი,“ – ზეინაბ დვალიშვილის ეს სულისკვეთება გასდევდა საღამოს.

სპექტაკლს ესწრებოდნენ მწერლები: თამარ შაიშმელაშვილი, მარიამ წიკლაური, რობერტ მესხი, ნინო სადღობელაშვილი, მანონ ბულისკერია, მაია მიქაია, ლელა ცუცქირიძე, ლიტერატორი ნინო სალუქვაძე, რეჟისორი იოანე ხუციშვილი.

თამარ კახელიშვილი

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ კარიკატურისტის თვალით

– გამარკვიეთ, ქალბატონო, როგორ მოხვდა ეს საგანი მიცვალებულის გვერდით?

ამირან ერაძის ნახატი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ტესტი

ჟამი დასვენებისა

ზაფხულის დრო საუკეთესო პერიოდია მოდუნებისა და დასვენებისთვისl უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს, რაც დაგეხმარებათ, განსაზღვროთ, შეგიძლიათ თუ არა დასვენება.

1. ხშირად ხართ მოწყენილი?
ა) დიახ, ხდება ხოლმე.
ბ) იშვიათად.
გ) პრაქტიკულად არასოდეს.

2. გაქვთ რაიმე ჰობი?
ა) რასაკვირველია, კი.
ბ) მქონდა, მაგრამ ახლა არ მაქვს.
გ) სამუშაო გარკვეული თვალსაზრისით ჩემი ჰობიცაა.

3.თუ გაქვთ ჩვეულებად, უქმე დღეებში დაწვეთ რაც შეიძლება გვიან და ადგეთ შუადღის მერე?
ა) დიახ.
ბ) არა, ვცდილობ ეს არ გავაკეთო.
გ) ზოგჯერ.

4. გიყვართ სტუმრად წასვლა?
ა) არც ისე.
ბ) დიახ, ვაღმერთებ კომპანიებს.
გ) ზოგჯერ, ძველ ნაცნობებთან.

5. როგორ ატარებთ ჩვეულებრივად უქმე დღეებს?
ა) ვამჯობინებ, ეს დროს გამოვიყენო იმისთვის, რომ წავიდე თეატრში, კინოში, გამოფენებზე.
ბ) მიყვარს ლოგინში ნებივრობა, მსუბუქი ლიტერატურის კითხვა, მივუჯდე კომპიუტერს ან ტელევიზორს.
გ) სხვადასხვაგვარად, ამინდისა და განწყობილების შესაბამისად.

6. თქვენი აზრით, ადვილად ეგუებით მუშაობისა და დასვენების ცვლას?
ა) ვფიქრობ, რომ კი.
ბ) ზოგჯერ მიჭირს გარდაქმნა.
გ) ხშირად არა.

7. ამოარჩიეთ ამ გამონათქვამებიდან თქვენთვის ყველაზე მისაღები:
ა) „ის, ვინც საკმარის დროს არ უთმობს დასვენებას, ჰგავს ხელოსანს, რომელსაც ხელსაწყოების გალესვისთვისაც ვერ მოუცლია“.
ბ) „ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ის ერთი სამუშაოსგან ისვენებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორის კეთებას დაიწყებს“.
გ) „უნდა დაისვენო ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაღლილობას იგრძნობ“.

8. სამუშაოს გულისთვის შეგიძლიათ უარი თქვათ უქმე დღეებზე?
ა) ასეთი რამ ხდებოდა არაერთგზის.
ბ) შეიძლება.
გ) საკუთარი ინიციატივით — არა.

9. მზად ხართ, გადადოთ სამუშაო, რომ წახვიდეთ გასართობად?
ა) ხანდახან ასეც ვიქცევი.
ბ) ნაკლებად სავარაუდოა.
გ) შეიძლება, თუ საქმე ძალიან საჩქარო არ არის.

10. იზიარებთ აზრს, რომ თუ სამუშაო საყვარელია და საინტერესო, შვებულებაც არ არის საჭირო?
ა) უფრო არა, ვიდრე კი.
ბ) გარკვეული აზრით კი.
გ) კატეგორიულად არა.

ცხრილის გამოყენებით დაიანგარიშეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	3	1	3	3	1	1	2	3	1	2
ბ	2	2	2	1	3	2	3	2	3	3
გ	1	3	1	2	2	3	1	1	2	1

10-16 ქულა. როგორც ჩანს, თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც დროს კი არ კლავს, არამედ ნათლად ატარებს მას! უფრთხილდებით თავისუფალ დღეებს და, როგორც წესი, ნებისმიერ კომპანიაში არ გრძნობთ თავს თეთრ ყვავად, აუცილებლად ხართ სასურველი სტუმარი პიკნიკზეც, სადღესასწაულო სუფრაზეც.

17-23 ქულა. თქვენ იცით, როგორ დაისვენოთ, რომ დასვენება სასიამოვნო იყოს თქვენთვის. ზომიერება და უნარი იყოთ ოქროს შუაგულში — მეტად აქტუალურია ჩვენი დროისთვის, და თქვენ, საერთოდ, ცდილობთ თავი აარიდოთ უკიდურესობებს. სხვათა შორის, ზოგჯერ სასარგებლოა მოიფიქროთ რაღაც ისეთი, მაგალითად — მოაწყვეთ კოსტიუმირებული საღამო ქალაქგარეთ ბუნებაში, და თუნდაც ერთი-ორი საათით იგრძენით თავი გმირად, კეთილ ფერიად ანდა იყავით ნებისმიერი სხვა ზღაპრული პერსონაჟის სახე!

24-30 ქულა. თქვენ, ალბათ, ყოველთვის არ შეგიძლიათ დაივიწყოთ საქმეები და მოდუნდეთ. დასვენება — ესაა ხელოვნება, და თქვენ შეგიძლიათ რაღაც ისწავლოთ, სიბრძნე ხომ გვმოძღვრავს: ის, ვინაც იცის დასვენება, სჯობნის იმ ადამიანებს, ვისაც შეუძლიათ ქალაქების აღება. გწამდეთ, თუ დროებით გამოეთიშებით სამუშაოს და ყოველდღიურ გაწამაწიას, დედამიწა ამის გამო არ გადატრიალდება.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვარსკვლავთან

შეწყალებულებსა და ამნისტირებულებს ნასამართლეობას უხსნიან

ამნისტიით ან შეწყალებით სასჯელისგან განთავისუფლებულ პირებს ნასამართლეობა პირდაპირ ამნისტიის ან შეწყალების აქტით მოეხსნებათ. შსს-ს ინიციატივით, სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილებები იგეგმება. კანონპროექტის მიზანია, ამნისტიისა და შეწყალების საფუძველზე სასჯელისგან განთავისუფლებულ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

„რეზონანსი“

კახა კუკავა მთავარი პროკურორის გადაყენებას წინასწარმეტყველებს

იგი ფიქრობს, რომ „მალე უვარგის კბილაშვილს პროკურორის პოსტზე სხვა ადამიანი ჩაანაცვლებს. ჩემი განცხადება ძირითადად ეყრდნობა ლოგიკურ მსჯელობას, მაგრამ ამ ინფორმაციის ნაწილი საჯაროდაც ვრცელდება. თუნდაც ავიღოთ წულუკიანისა და უმრავლესობის რამდენიმე წევრის კომენტარი, რომლებმაც გააკრიტიკეს კბილაშვილი. როგორც ჩანს, მთავრობა პირწმინდად კბილაშვილზე აპირებს რეფორმის ჩაგდების გადაბრალებას. ხალხის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ხომ ის არის, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა ვერ მოხდა“.

„ალია“

„სამხრეთ ოსეთი პირველად სააკაშვილმა აღიარა“

— აცხადებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, — ვის მხრიდან საუბრობენ აღიარებაზე ან ვის რას აბრალებენ. იმას რატომ არ იძახიან, პირველმა ვინ აღიარა სამხრეთ ოსეთი. ეს გადაწყვეტილება სააკაშვილმა მიიღო. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ხომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამის შემდეგ ცხინვალის რეგიონს ყველა სამაჩაბლოდ აღიარებდა. სააკაშვილმა კი სამხრეთ ოსეთი აღადგინა. ის ხშირად ამაყობდა, ვერავინ ბედავდა, ეხსენებინა სამხრეთ ოსეთი და მე გავაკეთეო.

„ახალი თაობა“

◎ ჟინჟარსიტყვა

ტატოსი არ იყოს...

...მაგრამ რადგანაც ნაცნი გქვიათ, ყმანი მიშასი —
უნდა ისროლოთ სამიშაო ყველა ნიშანში!
არც ნაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს
და ჩაფალვება ოცნებისა არა ევასოს!..

რამაზ ილმელი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— როგორი კაცია შენი ახალი შეფი? მასთან შეიძლება მუშაობა?
— შესანიშნავი კაციაl მასთან შეიძლება საერთოდ არ იმუშაო.

* * *

საკონტროლო წერისას მიხო თავის თანამერხელ ამხანაგს ეჩურჩულება:

— ნიკა, ნახე რა მაგარი უკანალი აქვს ჩვენს ახალ მასწავლებელს!
— მიხო, ნიკას ნუ ეჩურჩულები, მან ისედაც კარგად იცის ყველაფერი, — აწყვეტინებს მასწავლებელი.

* * *

ძალიან სწრაფად ვმოძრაობ საკარიერო კიბეზეl მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ მოძრაობის მიმართულება არ მაწყობს.

* * *

ბავშვი მაშინ კი არ ხდება დიდი, როდესაც უკვე ყურს არ უგდებს დედის რჩევას, არამედ მაშინ, როდესაც ხვდება, რომ დედა მართალი იყო.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com